პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 10 მარტი, 1946 წ. № 51 (7524). ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის გეგმის შესრულება წარმოადგენს საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების, სამიწათმოქმედო ორგანოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, კომუნისტებისა და კომკავშირელების, აგრონომების, მექანიკოსების, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებისა და მოსამსახურეების უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას მოსახლეობის სურსათით, ხოლო მრეწველობის ნედლეულით მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით გაუძლეს დიდი სამამულო ომის მძიმე განსაცდელს და 1945 წელს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობაში ომის შედეგების ლიკვიდაციის, ნათესი ფართობების აღდგენისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგებასა და მონაცვლეობაში წესრიგის დამყარების საქმეში.

1945 წელს ვოლგისპირის, დასავლეთ ციმბირის, ურალისა და ყაზახეთის რაიონებში ისეთი უმნიშვნელოვანესი სასურსათო კულტურის ნათესი ფართობები, როგორიც არის საგაზაფხულო ხორბალი, გადიდებულია ერთ მილიონზე მეტი ჰექტარით.

ნათესი ფართობების აღდგენაში კოლმეურნეობებს სერიოზული დახმარება გაუწიეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, რომლებმაც 1945 წელს, 1944 წელთან შედარებით, 20 მილიონი ჰექტარით გაადიდეს სატრაქტორო სამუშაოთა მოცულობა, გააუმჯობესეს მუშაობის ხარისხი და უზრუნველჰყვეს გასულ წელთან შედარებით ნატურსაზღაურის გაცილებით მეტი რაოდენობით მიღება.

ამავე დროს სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მთელი რიგი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების, განსაკუთრებით ტამბოვის, ვორონეჟის, რიაზანის, პენზის, ტულისა და ნოვოსიბირსკის ოლქების, სტავროპოლის მხარის, მორდვეთისა და ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკების საბჭოთა, პარტიულმა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ვერ უზრუნველჰყვეს 1945 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესრულება, აგრეთვე მინდვრის სამუშაოთა ჯეროვანი ხარისხი, დაუშვეს მოსავლის დიდი დანაკარგები მოსავლის აღების დროს და ვერ შეასრულეს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნიათ აღნიშნონ სოფლის მეურნეობისა და სახელმწიფო გეგმების შესრულების დარგში მუშაობის გაუმჯობესება კალინინის, ლენინგრადის, ფსკოვის, ჩელიაბინსკის, სტალინოს, სვერდლოვსკის, ომსკის, ველიკიე ლუკის, ნოვგოროდისა და იაროსლავლის ოლქების, უდმურტეთის ასს რესპუბლიკის, ზღვისპირეთის მხარის, ბელორუსიის, სომხეთის, საქართველოს და უზბეკეთის სს რესპუბლიკების, ყაზახეთის სს რესპუბლიკის ალმა-ატის, სამხრეთ ყაზახეთისა და დასავლეთ ყაზახეთის ოლქების კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იწონებენ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის, მტს-ების კარმიდამოთა კეთილმოწყობისა და საკუთარი სარემონტო-ტექნიკური ბაზის შექმნის დარგში პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, მოლოტოვის, იაროსლავლისა და სხვა ოლქებში ჩატარებულ მუშაობას.

ამასთან ერთად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ბევრი ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა, უზრუნველჰყვეს რა თესვის სახელმწიფო გეგმის შესრულება, ვერ მიაღწიეს დავალების შესრულებას სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის დარგში, რაც აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, საანეულო და მზრალად ხვნის გეგმების შეუსრულებლობით, მინდვრის სამუშაოთა ჩატარების ვადების გაჭიანურებით, ნათესების არადამაკმაყოფილებელი მოვლით და მოსავლის აღების სამუშაოთა ცუდი ორგანიზაციით.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, საბოჭკოე სელის, კანაფის, თამბაქოს, წეკოს, აბუსალათინისა და კაუჩუკოვანი მცენარეების მოყვანის აგროტექნიკა და მოსავლის აღების სამუშაოთა ორგანიზაცია.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბალახების თესვა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, რაც წარმოადგენს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების მიერ მრავალწლიანი ბალახების მნიშვნელობის შეუფასებლობისა და ამ უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფოებრივი საქმისადმი ჯეროვანი ყურადღების უქონლობის შედეგს.

მიუხედავად იმისა, რომ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკის საწვავითა და სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა, ხოლო ტრაქტორისტთა და კომბაინერთა შემადგენლობა ახალი კვალიფიციური მუშაკებით შეივსო, ტრაქტორზე, ხოლო განსაკუთრებით კომბაინზე გამომუშავება ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში ომამდელ დონესთან შედარებით ჯერ კიდევ ბევრად დაბალია.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი 1946 წელს—პირველ ომისშემდგომ წელს—სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად სთვლიან მოსავლიანობის ყოველმხრივ ამაღლებას და მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, საბოჭკოე სელის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ზეთოვანი კულტურების თესლის საერთო მოსავლის გადიდებას.

ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნიათ:

მარცვლეული კულტურების დარგში — ვინაიდან მარცვლეულის მოყვანის გადიდებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების, პურის საჭირო მარაგის შექმნისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საგაზაფხულო მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების თესვის ჩატარებას მოკლე ვადებში კარგად მომზადებულ მიწებზე, მარცვლეული კულტურების მოსავლის კომბაინებით, ძნის საკონავი, სამკელი და სხვა მანქანებით აღების მნიშვნელოვან გადიდებას, აგრეთვე საშემოდგომო კულტურებისათვის, ხოლო აღმოსავლეთ და ვოლგასგაღმა რაიონებში საგაზაფხულო ხორბლისთვისაც, ანეულის მოხვნისა და დამუშავების გეგმის შესრულებას.

ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების, განსაკუთრებით ბამბის, შაქრის ჭარხლის, საბოჭკოე სელის, კანაფის, ახალლაფნოვანი კულტურების, მზესუმზირას, საზეთე სელის, სოიის, აბუსალათინისა და კაუჩუკოვანი მცენარეების დარგში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ კულტურების მოყვანის სამუშაოთა მექანიზაციის ამაღლებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნიადაგის კარგი თესვისწინა დამუშავება, ამ კულტურების თესვის, მწკრივთაშორის დამუშავების, მოსავლის აღებისა და გამოზიდვის დროულად ჩატარება.

კარტოფილისა და ბოსტნეულის დარგში ყურადღება მიექცეს პირველ რიგში ქალაქისპირა ზონებში კარტოფილისა და ბოსტნეულის საერთო მოსავლის გადიდებას ამ კულტურებით ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე სპირტისა და სახამებელ-ბადაგის ქარხნების ზონებში კარტოფილის საერთო მოსავლის გადიდებას.

საკვები კულტურებისა და მრავალწლიანი ბალახების დარგში—მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების, განსაკუთრებით სამყურის, იონჯის, ტიმოთელასა და კაპუეტას, საკვები ძირხვენებისა და სასილოსე კულტურების ნათეს ფართობთა დარგში დავალებების აუცილებლად შესრულების უზრუნველყოფას, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახებისა და ძირხვენების მეთესლეობის გადაჭრით გაუმჯობესებას, რათა 1947 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობას შეეძლოს თავის უზრუნველყოფა ამ კულტურების თესლით შემდეგში ბალახთესვის მნიშვნელოვნად გაფართოებისათვის. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მრავალწლიან ბალახთა ნათესების დროულ მოვლას, მოსავლის აღებას, ლეწვასა და სათესლედ გამოფშვნას.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ 1946 წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესრულება და ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღება უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, და ავალებენ სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს უზრუნველჰყონ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება, მათ მიერ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ცოცხალი გამწევი ძალისა და ცხენის ინვენტარის მთლიანად გამოყენება და შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სამრეწველო სახალხო კომისარიატებისაგან მოითხოვენ აუცილებლად შეასრულონ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მათ შორის ტექნიკური კულტურებისათვის საჭირო მანქანების, მათი სათადარიგო ნაწილების, ცხენისა და ხელის ინვენტარის, მოწყობილობის, მინერალური სასუქისა და შხამქიმიკატების წარმოების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ნავთის პროდუქტებით მომარაგების გეგმები.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინეს:**

I. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესახებ

1. დამტკიცდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და გლეხური მეურნეობების მიხედვით მარცვლეული, ტექნიკური, ზეთოვანი კულტურებისა და კარტოფილის მოსავლიანობის გეგმა 1946 წლისათვის, საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა, 1947 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა, აგროტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა, მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა, ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების მეთესლეობის გეგმა, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების სათესლე ნაკვეთების დატოვების გეგმა, ხილკენკრის ნარგავებისა და ვენახების, ციტრუსოვანი კულტურების, ჩაისა და ტუნგოს გაშენების გეგმა რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისათვის.

2. დამტკიცდეს მოსავლიანობის დავალებანი და სარწყავი მიწების თესვის გეგმა, აგრეთვე სარწყავი ქსელის გაწმენდის გეგმა უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სს რესპუბლიკების კოლმეურნეობებისათვის.

დაევალოს საოლქო (სამხარეო) აღმასკომებსა და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, რომლებისთვისაც ამ დადგენილებით დამტკიცებული არ არის სარწყავი მიწების მოსავლიანობისა და თესვის დავალებანი, დააწესონ და რაიონებამდე და კოლმეურნეობებამდე დაიყვანონ სარწყავ მიწებზე თესვისა და მოსავლიანობის გეგმა, ამასთან გაითვალისწინონ 1946 წელს ნათესებისათვის ყველა სარწყავი მიწის სრული გამოყენება

3. დამტკიცდეს 1946 წლის მოსავლისათვის მთელ სოფლის მეურნეობაში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესი ფართობი 1945 წელთან შედარებით 8,2 მილიონი ჰექტარით მეტი, მათ შორის კოლმეურნეობებში 5,5 მილიონი ჰექტარით მეტი.

4. დამტკიცდეს ურალის, ციმბირის, ვოლგისპირის და ყაზახეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ყამირ, ნასვენ და ნაჩხატ მიწებზე საგაზაფხულო და საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა. დაევალოს საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, პარტიის საოლქო, სამხარეო კომიტეტებს და ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გამოიყენონ ნასვენი და ყამირი მიწები პირველ რიგში მაგარი ხორბლის ნათესთა გასაფართოებლად.

5. დამტკიცდეს 1946 წლისათვის მტს-ებში ერთ ჰექტარ სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულება რბილ ხვნაზე გადაყვანით 40 მანეთისა და 30 კაპიკის ოდენობით, მათ შორის ხარჯები ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების კაპიტალურ და მიმდინარე რემონტზე 10 მანეთი და 14 კაპიკი.

ნება დაერთოს სსრ კავშირის მიწსახკომს და სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს რემონტისათვის დამტკიცებული ხარჯების ფარგლებში 1946 წლისათვის დააწესონ დიფერენცირებული ნორმები ანარიცხებისა ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისათვის ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით, ხოლო ამ უკანასკნელებმა — ცალკეული მტს-ების მიხედვით.

6. დამტკიცდეს ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებისა და უკრაინის, ბელორუსიის და მოლდავეთის სს რესპუბლიკების დასავლეთი რაიონების გლეხურ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა.

7. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო (საოლქო) აღმასკომებს და სახალხო კომისარიატებს, რომლებისთვისაც დაწესებულია საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები:

ა) ამ დადგენილებით რესპუბლიკის, მხარისა და ოლქისათვის დამტკიცებული სახელმწიფო გეგმის შესაბამისად 10 დღის ვადაში დაიყვანონ რაიონებამდე, საბჭოთა მეურნეობებამდე, მტს-ებამდე და ორი დეკადის ვადაში კოლმეურნეობებამდე, კოლმეურნეებამდე და გლეხურ მეურნეობებამდე დავალებანი 1946 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის მიხედვით;

ბ) ამ დადგენილებით დაწესებული მარცვლეულ კულტურათა საშუალო მოსავლიანობის საფუძველზე დაამტკიცონ ცალკეული მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის დავალებანი, აგრეთვე ტექნიკური, ბოსტნეული, ბაღჩეული, საკვები და ხილ-კენკრის კულტურების მოსავლიანობის დავალებანი, რომლების მიმართ მოსავლიანობა ამ დადგენილებით დამტკიცებული არ არის;

გ) დაამტკიცონ მინდორსაფარ სატყეო ზოლთა და სხვა საფარ სატყეო ნარგავთა გაშენების გეგმა, აგრეთვე არსებულ საფარ ნარგავთა მოვლის, გაწმენდისა და რემონტის დავალებანი და დაიყვანონ ეს დავალებანი რაიონებამდე და კოლმეურნეობებამდე;

დ) დაამტკიცონ კვალსათბურთა და სათბურთა გაშენებისა და ახალი მშენებლობის, მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების გეგმა;

ე) რაიონებამდე, კოლმეურნეობებამდე და საბჭოთა მეურნეობებამდე გეგმების დაყვანისას უზრუნველჰყონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგება შემოღებულ და შემოსაღებ თესლბრუნვებთან და მათზე გადასვლის გეგმებთან სრული შესაბამისობით, აგრეთვე იმის აუცილებლობის გათვალისწინებით, რომ თავიდან აცილებულ იქნას ნაკლებტრანსპორტაბელური პროდუქციის (შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის) შორს გადაზიდვა.

8. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი საოლქო აღმასკომების, სამხარეო აღმასკომების, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტების, რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების ყურადღებას მიაქცევენ იმის საჭიროებას, რომ დროულად შეთანხმებულ იქნას სსრ კავშირის მიწსახკომისა და სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების მუშაობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა 1946 წლის გეგმების დასადგენად და შესასრულებლად თვითეულ რაიონში, მტს-სა და კოლმეურნეობაში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ, რომ ოლქიდან, მხარიდან და ავტონომიური რესპუბლიკიდან თვითეულმა რაიონმა, ხოლო რაიონში—თვითეულმა კოლმეურნეობამ უნდა მიიღოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი გეგმა ყველა იმ მაჩვენებლის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო გეგმით.

დაევალოს რაიაღმასკომებს და პარტიის რაიკომებს განიხილონ და დაამტკიცონ, სათანადო მტს-ების დირექტორებთან ერთად, თვითეულ კოლმეურნეობაში მტს-ების სატრაქტორო სამუშაოთა გეგმები.

II. საგაზაფხულო თესვისათვის მზადებისა და მინდვრის სამუშაოთა ორგანიზაციის შესახებ

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ადგილობრივ საბჭოთა, პარტიულ და სამიწათმოქმედო ორგანოებს დაავალეს უზრუნველჰყონ საგაზაფხულო თესვისათვის ყველა კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის მზადების უსწრაფესი დამთავრება და საგაზაფხულო თესვის ჩატარება თვითეული სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, მინდვრის სამუშაოთა კარგი ხარისხის დაცვით. ამ მიზნით:

1. სრულად და კეთილხარისხოვნად შეაკეთონ ყველა ტრაქტორი და სატრაქტორო ინვენტარი თვითეულ მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში, აგრეთვე ცხენის ინვენტარი, ტრანსპორტი და აკაზმულობა ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

დახმარება აღმოუჩინონ მტს-ებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების რემონტის ჩატარებაში ქალაქებიდან სარემონტო ბრიგადების გაგზავნით, სათადარიგო ნაწილების, ლითონის, სათბობის, სარემონტო მასალების, ინსტრუმენტისა და მოწყობილობის გამოყოფით, აგრეთვე სარემონტო სამუშაოთა, განსაკუთრებით ტრაქტორთა და კომბაინთა მოტორების რემონტის ჩატარებით, და საწარმოებში სათადარიგო ნაწილების დამზადებით.

2. უზრუნველჰყონ საწვავის შეტანა მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაზაფხულის უგზოობის დაწყებამდე, ამასთან დახმარება გაუწიონ მათ საქალაქო ტრანსპორტით, აგრეთვე სხვადასხვა ტვირთების ზიდვაზე მომუშავე ავტომანქანებისა და საზიდრების დაბრუნებული რეისების გამოყენებით.

დაწესდეს, რომ ნავთის პროდუქტების თვიური ლიმიტები ძალაშია მთელი კვარტალის და მომდევნო კვარტალის პირველი თვის განმავლობაში. ნება დაერთოს იმ მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებსაც თავიანთი ფონდების ნავთის პროდუქტები გატანილი აქვთ, აწარმოონ საავანსო გატანა მომდევნო თვეების ფონდების ანგარიშში.

3. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დასაწყისისათვის დაამზადონ საწვავჩასასხმელი ურიკების დანაკლისი რაოდენობა და უზრუნველჰყონ თვითეული სატრაქტორო ბრიგადა საწვავჩასასხმელი ინვენტარით, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური მოვლის ინსტრუმენტითა და მოწყობილობით.

4. უზრუნველჰყონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებამდე თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მარცვლეული, ტექნიკური, ბოსტნეული, საკვები კულტურებისა და კარტოფილის თესლის გამოყოფა და თესვისათვის მომზადება ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა თესვის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად, ამასთან გულმოდგინე კონტროლი დააწესონ სათესლე ფონდების ხარისხისა და დაცვისადმი, ჩაატარონ დასათესავად უვარგისი თესლის, ან ჩვეულებრივი თესლის ჯიშიან თესლზე გადაცვლა გაზაფხულის უგზოობის დადგომამდე.

აღმოსავლეთ, ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებში ფართოდ გამოიყენონ აკადემიკოს ლისენკოს მიერ რეკომენდებული მეთოდი ადრე გაზაფხულზე სიცოცხლისუნარიანი, მაგრამ გაღივების უნარის მხრივ არაკონდიციური თესლის დამუშავებისა, ამ თესლის გაწმენდის და თხელ ფენაში ჰაერით დათბობის გზით; ამასთან გაღივების უნარი შემდეგ თესლის საკონტროლო ლაბორატორიებმა უნდა შეამოწმონ.

5. უზრუნველჰყონ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მუშა პირუტყვის დროულად მომზადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და მუშა პირუტყვის მიმაგრება მინდვრის სამუშაოთა მთელ პერიოდში მემინდვრეობის ბრიგადებზე, ხოლო ბრიგადებს შიგნით ცალკეულ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებზე, ამასთან მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა პერიოდისათვის საჭირო რაოდენობით დაჯავშნონ მუშა პირუტყვისათვის თივა და კონცენტრირებული საკვები.

6. თესვის დაწყებამდე დაამთავრონ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო-საფინანსო გეგმების შედგენა, კოლმეურნეობებთან მტს-ების ხელშეკრულებათა დადება, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მემინდვრეობის ბრიგადების სამუშაო გეგმების შედგენა, ამ გეგმებში გაითვალისწინონ ბრიგადებისათვის წარმოების საშუალებათა მიმაგრება, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა განაწილება ცალკეული სახის სამუშაოებზე.

განამტკიცონ ბრიგადებისა და რგოლების შემადგენლობა და უზრუნველჰყონ მინდვრის ყველა სამუშაოთა მოწყობა, როგორც წესი, ინდივიდუალური და წვრილჯგუფური სანარდო სისტემის საფუძველზე.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებამდე შეამოწმონ საგაზაფხულო თესვისათვის თვითეული კოლმეურნეობის, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის მზადყოფნა.

განუმარტონ კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურების დადგენილი წესი.

7. მინდვრის სამუშაოთა დროულად ჩატარების მიზნით დაევალოს რაიაღმასკომებს, პარტიის რაიკომებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს მუშახელის ნაკლებობის შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩააბან კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მცხოვრები მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა—კოლმეურნეები და მათი ოჯახის წევრები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე სხვა შრომისუნარიანი მოსახლეობა არაკოლმეურნეთაგან, რომელიც მრეწველობაში და ტრანსპორტზე არ მუშაობს.

8. მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე ერთი თვით ადრე გათავისუფლებულ იქნან კოლმეურნეობანი შრომითი საჭაპანო ვალდებულებისაგან. დაევალოს ყველა საწარმოსა და დაწესებულებას, რომლებიც კოლმეურნეობების გამწევ ძალას იყენებენ, დაუბრუნონ ეს გამწევი ძალა კოლმეურნეობებს არაუგვიანეს ერთი თვისა მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე. არაუგვიანეს სამი კვირისა მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე ცოცხალი გამწევი ძალა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაძლიერებულ კვებაზე გადაიყვანონ და დაასვენონ.

9. აიკრძალოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს უნებართვოდ ტრაქტორების სატრანსპორტო და სხვა არამინდვრის სამუშაოებზე გამოყენება, მინდვრის სამუშაოებისათვის საწვავის ზიდვის გარდა.

10. მინდვრის სამუშაოთა პერიოდისათვის კოლმეურნეობებში მოეწყოს საბავშვო ბაგები და მოედნები, საველე ბანაკები და საზოგადოებრივი კვება.

III. მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ

მინდვრის სამუშაოთა ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდების მიზნით, სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს განახორციელონ შემდეგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი:

1. საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში აგრონომიული პერსონალის ძალებით კოლმეურნეობათა გამგეობებთან, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან და გამოცდილ კოლმეურნეებთან ერთად შეიმუშაონ აგროტექნიკური ღონისძიებანი 1946 წელს საგაზაფხულო თესვის, ანეულის მოხვნისა და დამუშავების, ნათესთა მოვლის, საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის ჩასატარებლად, ამასთან გამოიყენონ მოწინავე ბრიგადების, რგოლებისა და კოლმეურნეების მუშაობის გამოცდილება.

აიკრძალოს ყველას, ვინც უნდა იყოს, გააუქმოს ან შესცვალოს კოლმეურნეობების მიერ აგრონომებთან ერთად დაწესებული აგროტექნიკური

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

ღონისძიებანი ამ ღონისძიებათა დამწესებელი აგრონომისათვის შეუტყობინებლად ან რაიონის სამიწათმოქმედო განყოფილების მთავარი აგრონომის, ან ტექნიკური კულტურების დარგში—ტექნიკური კულტურების რაიონული განყოფილების მთავარი აგრონომის ნებადაურთველად.

2. გვალვიანი და ნახევრადგვალვიანი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მყარი და უხვი მოსავლის უზრუნველსაყოფად დაევალოთ ამ რაიონების ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი ძალები და საშუალებანი აამოქმედონ ნიადაგში ტენის მაქსიმალური დაგროვებისა და შენახვისათვის და იმ აგროტექნიკის გამოსაყენებლად, რომელიც უზრუნველჰყოფს 1946 წელს უხვი მოსავლის მიღებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას:

ა) მოაწყონ მუშაობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში გაზაფხულის ლანქერის წყლის შესაკავებლად;

ბ) ჩაატარონ გაზაფხულის პირველ დღეებში მზრალად მოხნულზე, შემოდგომის ანეულზე, აგრეთვე სათოხნი კულტურების ნაყანევ ნაკვეთებზე, რომლებიც შემოდგომაზე არ მოხნულა, 1-2 კვალად ფარცხვა იმ ვარაუდით, რომ ნიადაგის ზედაპირი დაფარულ იქნას ფხვიერი (გახმობისაგან დამცავი) ნიადაგის ფენით, აგრეთვე ხვნისწინა აოშება—ნიადაგის გაფხვიერება იმ ნაკვეთებზე, რომლებიც გაზაფხულზე უნდა მოიხნას, აგრეთვე ფესურიანი და ფესვითნაყარი სარეველა ბალახებით (ჭანგა, ღიჯა და სხვა) დაუნაგვიანებელ ნაკვეთებზე, რომლებიც განკუთვნილია ანეულის მოსახნავად.

გ) ციმბირის, ურალისა და ყაზახეთის ჩრდილოეთი ოლქების ნახევრადგვალვიან რაიონებში თესვისწინა სამუშაოთა და საგაზაფხულო ხორბლისა და შვრიის თესვის ჩატარებაში დაცულ იქნას თანმიმდევრობა, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „1945 წელს სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ".

3. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს უზრუნველჰყონ, რომ ყველა კოლმეურნეობამ, მტს-მა და საბჭოთა მეურნეობამ აუცილებლად შეასრულოს დადგენილ ვადებში და მაღალი ხარისხით ანეულის ხვნისა და დამუშავების და მზრალად ხვნის სახელმწიფო გეგმები, ურომლისოდაც შეუძლებელია მინდვრების დანაგვიანების აღმოფხვრა და მოსავლიანობის სერიოზული გადიდება.

4. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ფართოდ გამოიყენონ აკადემიკოს ვილიამსის მიერ რეკომენდებული წინასახნისიანი გუთნით ღრმა კულტურული ხვნა და ნაწვერალის წინასწარი აოშება, ხოლო არაგვალვიან რაიონებში აგრეთვე სუფთა ანეულის ფენობრივი დამუშავება. უზრუნველჰყონ ზაფხულის განმავლობაში ანეულის დაუსარევლიანება და სიფხვიერე დროული კულტივაციებისა და ანეულის დამუშავების საშუალებით.

სამხრეთ-აღმოსავლეთის, ციმბირისა და სამხრეთის გვალვიანი რაიონების კოლმეურნეობებს რჩევა მიეცეთ ფართოდ გამოიყენონ კულისებიანი ანეული საშემოდგომო კულტურების დასათესად, ამასთან უზრუნველჰყონ ნიადაგის დროული და გულმოდგინე დამუშავება კულისთაშორის სივრცეებში და საკულისე მცენარეთა მწკრივებში.

5. სასუქის მაქსიმალურად გამოყენებისათვის დაევალოთ რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და რაიონების საბჭოთა, პარტიულ და სამიწათმოქმედო ორგანოებს:

ა) დააწესონ 1946 წელს თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის ადგილობრივი სასუქის დაგროვებისა და შეტანის გეგმა, ამასთან გაითვალისწინონ ნაკელის სრული გამოყენება, ტორფისა და სხვა ადგილობრივი სასუქის გამოყენება და პირველ რიგში მათი შეტანა ტექნიკური, ზეთოვანი და ბოსტნეული კულტურების, კარტოფილის ფართობებში, მარცვლეული კულტურების სათესლე ნაკვეთებში, აგრეთვე საშემოდგომო პურეულის ანეულში. მოაწყონ მრეწველობისა და ქალაქების ყოფაცხოვრებითი ნარჩენების გამოყენება სასუქად, ამასთან დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ქალაქის ტრანსპორტით ამ სასუქის გატანაში;

ბ) უზრუნველჰყონ მინერალური სასუქის გამოყენება პირველ რიგში ტექნიკური კულტურების ფართობზე და სარწყავ მიწებზე, ხეხილის ნარგავებში, ხოლო ქალაქისპირა რაიონებში აგრეთვე ბოსტნეულის კულტურებისა და კარტოფილის ფართობებში. აიკრძალოს ტექნიკური კულტურების, ხეხილის ნარგავების, ბოსტნეულისა და კარტოფილის ფართობებისათვის გამოყოფილი მინერალური სასუქის რაიმე სხვა მიზნებისთვის გამოყენება.

6. უზრუნველყოფილ იქნას აპარატურისა და სხვა საშუალებათა გულმოდგინე მომზადება, აგრეთვე ყველა ღონისძიებათა გატარება სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში.

7. დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, საბჭოთა, პარტიულ და სამიწათმოქმედო ორგანოებს გააუმჯობესონ მეთესლეობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, უზრუნველჰყონ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში თვითეული კულტურის მიხედვით დაწესებული ოდენობით სათესლე ნაკვეთების გამოყოფა და გამოყოფილი ნაკვეთების აქტებით გაფორმება, ამ ნაკვეთების მიმაგრება ცალკეულ რგოლებზე, გამოყოფილ სათესლე ნაკვეთებზე მაღალი აგროტექნიკის გამოყენება—საუკეთესო ჯიშიანი თესლის დათესვა მზრალად ნახნავში ან ანეულში და საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში.

უზრუნველყოფილ იქნას ნათესთა გულმოდგინე მოვლა სათესლე ნაკვეთებში და მოსავლის დროული აღება.

8. იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც თესლბრუნვა აუთვისებელია და არ არის გარდამავალი გეგმები ან ნათესების ფაქტიური განლაგება 1945 წელს მათ არ შეესაბამებოდა, შედგენილ იქნას ან დაზუსტდეს თესლბრუნვაზე გადასვლის გეგმა, აგრეთვე აღდგენილ იქნას მინდვრების გადახნული საზღვრები და მოსპობილი სასაზღვრე ნიშნები.

იმ მიზნით, რომ უსწრაფესად იქნას ათვისებული სწორი თესლბრუნვა პარკოსანი და მარცვლეული მრავალწლიანი ბალახების ნარევთესლის გამოყენებით, 1946 წლიდან უზრუნველყოფილ იქნას მრავალწლიანი ბალახების სათესლედ თესვა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სახელმწიფო გეგმის ზუსტი შესაბამისობით.

დაწესდეს, რომ საკვები კულტურების და განსაკუთრებით მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმის შეუსრულებლობისათვის პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები, კოლმეურნეობათა გამგეობები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები ისევე აგებენ პასუხს, როგორც მარცვლეული, ტექნიკური და ბოსტნეული კულტურების თესვის გეგმების შეუსრულებლობისათვის.

9. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს, კოლმეურნეობათა გამგეობებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს აღმოფხვრან აგრო-სატყეო-მელიორატიულ სამუშაოთა უყურადღებოდ მიტოვება და საჭირო ღონისძიებანი მიიღონ იმისათვის, რომ სავსებით აღდგენილ იქნას და კვლავაც განვითარდეს მინდორსაცავი, ხევისპირა და ტყის სხვა ნარგავები, აგრეთვე მიიღონ ღონისძიებანი საკოლმეურნეო ტყეებისა და სახელმწიფო ტყის მასივების, ჭალებისა და კორომების დასაცავად ტრამალების რაიონებში, რასაც დიდი სასოფლო-სამეურნეო და წყალდამცველი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით:

ა) ჩატარდეს 1946 წელს მთელ მინდორსაცავ ტყის ნარგავთა ინვენტარიზაცია და ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის შემუშავდეს პრაქტიკული ღონისძიებანი მათ აღსადგენად და შემდგომ განსავითარებლად;

ბ) უზრუნველყოფილ იქნას ტყის რგვისა და ნარგავების მოვლის გეგმების აუცილებლად შესრულება, რისთვისაც მოეწყოს სპეციალური რგოლები;

გ) გადაჭრით გაუმჯობესდეს აგრო-სატყეო-მელიორატიული სადგურების მუშაობა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სწრაფმზარდი ხისა და ბუჩქნარი ჯიშების გამრავლებას.

10. სარწყავი მიწების მდგომარეობის ძირითადად გაუმჯობესების, მათი დამლაშებასა და დაჭაობიანებასთან ბრძოლის, სარწყავი სისტემების სწორი ექსპლოატაციის მოწყობისა და სათესად და სარგავად სარწყავი მიწების უფრო სრული გამოყენების მიზნით დაევალოთ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს:

ა) ვეგეტაციური მორწყვის დაწყებამდე უზრუნველჰყონ სარწყავი, წყალსაგდები და საკოლექტორო ქსელის გაწმენდა და აღდგენა და შეაკეთონ ჰიდროტექნიკური ნაგებობანი;

ბ) დროზე დაამტკიცონ ცალკეული სარწყავი სისტემებისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის დიფერენცირებული ნორმები და ვადები, ამასთან გაითვალისწინონ ნიადაგის პირობები, აგროტექნიკა და მოსავლიანობა და განახორციელონ ზუსტი კონტროლი დაწესებული სარწყავი ნორმების უსათუოდ შესრულებისათვის;

გ) დროზე შეადგინონ და დაამტკიცონ სარაიონთაშორისო და საკოლმეურნეობათაშორისო წყლის განაწილების გეგმები წყლის მიწოდების დაწესებული ლიმიტების შესაბამისად. ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატის ორგანოებმა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა წყლის მეურნეობის ორგანოების მონაწილეობით შეადგინონ და არაუგვიანეს 1946 წლის 15 აპრილისა დაამტკიცონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წყლით სარგებლობის გეგმები;

დ) არხებიდან წყლის მიწოდება აწარმოონ იმ ლიმიტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია მორწყვის წყაროების წყალუხვობისა და სარწყავი მიწების მდგომარეობის გათვალისწინებით დამტკიცებული წყლით სარგებლობის გეგმების საფუძველზე;

ე) უზრუნველჰყონ წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დროულად ჩატარება და მიიღონ ღონისძიებანი საამისოდ ადგილობრივი სამშენებლო მასალების დასამზადებლად და გამოსაყენებლად.

11. იმ მიზნით, რომ ადგილობრივი წყლის ნაკადი გამოყენებულ იქნას სარწყავი უბნების მოსაწყობად, აგრეთვე თევზისა და წყალმცურავი ფრინველის მოსაშენებლად, გატარდეს ღონისძიებანი არსებული გუბურებისა და წყალსატევების აღსადგენად და გასაწმენდად, კოლმეურნეობათა ძალებით ხევების, პატარა მდინარეების, ნაკადულებისა და სხვ. შეგუბების გზით წყალსატევების ასაგებად. დაუწესდეთ რაიონებს დავალებანი გუბურებისა და წყალსატევების აღსადგენად და ასაგებად და სისტემატურად შემოწმდეს ამ დავალებათა შესრულება.

12. დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, ადგილობრივ საბჭოთა, პარტიულ და სამიწათმოქმედო ორგანოებს ჩაატარონ შემდეგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი საშემოდგომო კულტურების მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის გასადიდებლად:

ა) უზრუნველჰყონ გაზაფხულის პერიოდში საშემოდგომო კულტურების ნათესების მოვლის დროული ჩატარება—ნათესთა ფარცხვა, დამატებითი კვება, აგრეთვე ნათესების გამარგვლა, და ეს ღონისძიებანი შეიტანონ საგაზაფხულო თესვის სამუშაო გეგმებში.

ნაწვერალზე საშემოდგომო კულტურების ნათესებში ციმბირისა და ჩრდილოეთ ყაზახეთის ველების რაიონებში, სადაც მინდვრები ქარის ეროზიას (გამოქარვას) განიცდიან, არ აწარმოონ საგაზაფხულო ფარცხვა, მაგრამ უზრუნველჰყონ საშემოდგომო კულტურების გამარგვლა გაზაფხულზე, განსაკუთრებით აბზინდის აღმონაცენისაგან გაწმენდა;

ბ) ყოველ რაიონში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გამოავლინონ მიწები, რომლებიც 1946 წელს გამოყენებული არ იქნება საგაზაფხულო კულტურების ნათესებისათვის, რათა თესლბრუნვის დაურღვევლად ეს მიწები გამოიყენონ წმინდა ანეულისათვის და იქ საშემოდგომო კულტურების დასათესად და, ამრიგად, საშემოდგომო პურეულის თესვა 1946 წელს, როგორც წესი, აწარმოონ საადრიო, კარგად დამუშავებულ ანეულებში და საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში. შეიმუშაონ და ყოველ რაიონში, მტს-სა, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაატარონ 1946 წელს საშემოდგომო კულტურების დასათესად ანეულების მოხვნისა და დამუშავების ღონისძიებათა გეგმა, რომელშიც გაითვალისწინონ საჭირო რაოდენობის ტრაქტორებისა და ცოცხალი გამწევი ძალის გამოყოფა ანეულის მოსახნავად და დასამუშავებლად და აკრძალონ მათი გამოყენება სხვა სამუშაოზე ანეულის მოსახნავად და დასამუშავებლად დაწესებული დავალების შესრულებამდე;

გ) უზრუნველჰყონ საშემოდგომო ხორბლის ნათესთა აღდგენა ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქებში, აგრეთვე საშემოდგომო ხორბლის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების უსწრაფესად გამრავლება და დანერგვა;

დ) დაავალონ ყირიმისა და გროზნოს საოლქო აღმასკომებს, კრასნოდარისა და სტავროპოლის სამხარეო აღმასკომებს მიიღონ ღონისძიებანი საშემოდგომო ქერის ნათესთა აღდგენისა და გაფართოებისათვის.

13. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ძირითად ამოცანად უყენებენ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხრეთ-აღმოსავლეთის, ურალის, ყაზახეთისა და ციმბირის რაიონების საოლქო კომიტეტებს და სამხარეო კომიტეტებს საგაზაფხულო ხორბლის ნათესთა ფართობებისა და მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას, მაგარი ხორბლის ნათესთა აღდგენას და ავალებენ მათ მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება 1946 წელს საგაზაფხულო ხორბლის თესვის დაწესებული გეგმის უსათუოდ შესრულებისათვის, აგრეთვე საგაზაფხულო ხორბლის დასათესად წმინდა ანეულის ფართობების გადიდებისათვის.

საგაზაფხულო ხორბლის ნათესთა უსწრაფესად აღდგენის მიზნით 1946 წელს შენარჩუნებულ იქნას საგაზაფხულო ხორბლის სათესლე ნაკვეთების მოცულობა ფაქტიური სათესი ფართობის 20-მდე პროცენტის რაოდენობით კუიბიშევის, პენზის, სარატოვის, სტალინგრადის, ტამბოვის, ულიანოვსკის, სვერდლოვსკის, კემეროვოს, ყურგანის, ნოვოსიბირსკის, ომსკის, ტომსკის, ტიუმენის, ირკუტსკის, მოლოტოვის, ჩელიაბინსკის, ჩიტისა და ჩკალოვის ოლქებში, ალტაის, ხაბაროვსკისა და კრასნოიარსკის მხარეებში, ბაშკირეთის, უდმურტეთისა და თათრეთის ასს რესპუბლიკებში და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში.

14. მარცვლეული და სხვა კულტურების ჯიშიანი თესლის მოყვანის გადიდების მიზნით დაევალოთ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სამხარეო აღმასკომებს, საოლქო აღმასკომებს, რაიონულ აღმასკომებსა და მტს-ების დირექტორებს:

ა) უზრუნველჰყონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მხრივ რაიონული სათესლე მეურნეობებისა და ელიტური მეთესლეობის მეურნეობათა პირველ რიგში მომსახურება და ამ მეურნეობებს მიამაგრონ საუკეთესო სატრაქტორო ბრიგადები მთელი სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში;

ბ) აღმოუჩინონ სახელმწიფო სასელექციო სადგურებს სარემონტო ქარხნებისა და მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოების საჭირო დახმარება მინდვრის სამუშაოებისათვის სამანქანო-სატრაქტორო პარკის მომზადებაში, აგრეთვე პირველ რიგში და შეუფერხებლად მოამარაგონ ისინი საწვავით და ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომობილების სამარაგო ნაწილებით.

15. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წიწიბურისა და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების საჭიროებას. რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წიწიბურის თესვა აწარმოონ 2-3 ვადაში, რათა თავიდან აცილებულ იქნას გაზაფხულისა და ზაფხულის არახელსაყრელი პირობებით ნათესთა შესაძლებელი დაზიანება. რჩევა მიეცეს, რათა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოყენებულ იქნას ფუტკრიანი სკების გატანა წიწიბურის მინდვრებში.

16. იმ მიზნით, რათა თავიდან აცილებულ იქნას მარცვლეული და სხვა კულტურების მოსავლის დანაკარგი მათი აღების დროს, უზრუნველყოფილ იქნას სახმობი მეურნეობის დროზე მომზადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რისთვისაც მოსავლის აღების დაწყებამდე მოეწყოს ყველა არსებული დახურული კალოს რემონტი და ახალი ფარდულების მშენებლობა მარცვლის დროებით შესანახავად, დაუწესდეს რაიონებსა და კოლმეურნეობებს ძველი ფარდულების რემონტისა და ახლის მშენებლობის გეგმა. ჩრდილოეთ და ცენტრალურ ოლქებში, აგრეთვე ციმბირის, ურალისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში, სადაც გადამეტებული ტენიანობა მოსავლის აღების პერიოდში მარცვლის გაფუჭების დიდ საფრთხეს ჰქმნის, ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში უზრუნველყოფილ იქნას არსებულ სადგომებში უმარტივესი მარცვალსახმობების მშენებლობა ან მოწყობა და არსებული მარცვალსახმობების რემონტი, აგრეთვე მოსავლის აღებისათვის კარაპანებისა და საცეხველების მომზადება.

17. დაევალოთ სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, ბამბის მთესველი რაიონების საბჭოთა, პარტიულ და სამიწათმოქმედო ორგანოებს ბამბის მოსავლიანობის გადიდების მიზნით უზრუნველჰყონ ნიადაგის გულდასმითი თესვისწინა დამუშავება, დროზე დათესვა, ღონისძიებათა ჩატარება საადრიო და თანაბარი აღმონაცენის მისაღებად, დროული და მაღალხარისხოვანი გამეჩხვრება ბამბისა ნათესის მთელ ფართობზე, სულ მცირე ოთხი მაღალხარისხოვანი კეტმენური დამუშავება, სულ მცირე 5 კულტივაცია და ვეგეტაციური მორწყვა მხოლოდ-დამხოლოდ კვლებში და დაწესებული ნორმებით.

18. დაევალოთ სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, შაქრის ჭარხლის მთესველი რაიონების პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს აღმოფხვრან უყურადღებობა შაქრის ჭარხლის აგროტექნიკაში და მიაღწიონ იმას, რომ უსათუოდ შესრულდეს დავალებანი მოსავლიანობის დარგში, აღმოიფხვრას დანაკარგები მოსავლის აღების დროს და დროზე ჩაბარდეს სახელმწიფოს ამ უძვირფასესი ტექნიკური კულტურის პროდუქცია.

უზრუნველყოფილ იქნას შაქრის ჭარხლის ნათესთა სწორი განლაგება, კარგად მომზადებულ მიწებში დროზე დათესვა არა უმეტეს 6-7 სამუშაო დღის ვადაში, დროზე გამოხშირვა და მაღალხარისხოვანი მწკრივთშორისი დამუშავება, აგრეთვე შაქრის ჭარხლის უდანაკარგოდ აღება და გატანა. სარწყავი რაიონების ჭარხლის მთესველ კოლმეურნეობებში დროზე ჩატარდეს სულ მცირე 6-7 ვეგეტაციური მორწყვა, ყოველი მორწყვის შემდეგ მწკრივთა შორის მიწის სავალდებულო გაფხვიერებით.

19. გრძელბოჭკოვანი სელისა და კანაფის სათესი ფართობებისა და საერთო მოსავლის პროდუქციის უსწრაფესად აღდგენის მიზნით დაევალოთ სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს უზრუნველჰყონ გრძელბოჭკოვანი სელისა და კანაფის სწორი განლაგება, არ დაუშვან ნათესთა დაქსაქსვა და ცალკე კოლმეურნეობათა ამ ნათესებით გადატვირთვა, ეს კულტურები დათესონ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და უზრუნველჰყონ ამ კულტურების დროზე დამუშავება და მოსავლის აღება.

უზრუნველჰყონ მწკრივად სათესი მანქანების მაქსიმალური გამოყენება გრძელბოჭკოვანი სელის დასათესად ისე, რომ ყოველი სატრაქტორო სათესი მანქანით 1946 წელს დათესილ იქნას სულ მცირე 100 ჰექტარი, ხოლო ცხენის სათესი მანქანით — სულ მცირე 40 ჰექტარი.

დაწესდეს, რომ სელისა და კანაფის პირველად დამუშავებას, როგორც წესი, ეწევა მიმაგრებული უბნის რგოლი, ხოლო პროდუქციის ჩაბარება ზუსტად აღირიცხება რგოლების მიხედვით.

20. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნიათ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამიწათმოქმედო ორგანოების მხრივ მზესუმზირის, სოიის, აბუსალათინისა და სხვა ზეთოვანი, აგრეთვე ეთერზეთოვანი კულტურების დამუშავებისადმი უყურადღებობას, რის შედეგადაც ეს კულტურები მოკლებული არიან საჭირო დამუშავებას და მათ დროზე არ იღებენ. ეს იწვევს არა მარტო მათი მოსავლიანობის დიდ ნაკლებობას, არამედ ფასს უკარგავს სათოხნი კულტურების ნაკვეთის, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო წინამორბედის მნიშვნელობას.

დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს უზრუნველჰყონ 1946 წელს ყველა ზეთოვანი და ეთერზეთოვანი კულტურის თესვის გეგმის აუცილებლად შესრულება და მათი მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის სერიოზული გადიდება, რაიონებსა და კოლმეურნეობებში ამ კულტურათა ნათესების განლაგების მოწესრიგება, კარგად მომზადებულ მიწებში მათი დროზე დათესვა, ამ კულტურების თესვის, ნათესების მოვლისა და მოსავლის აღების მექანიზაციის გადაჭრით გაუმჯობესება, აგრეთვე ჯიშიანი თესლის მოყვანის გაფართოება, მზესუმზირის ახალი მაღალზეთოვანი ჯიშებისა და სოიის, აბუსალათინის, მდოგვის, საზეთე სელისა და სხვა ზეთოვანი კულტურების უფრო მოსავლიანი ჯიშების დაჩქარებით გამრავლება და დანერგვა.

21. დაევალოთ სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებსა და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს უზრუნველჰყონ თამბაქოს და წეკოს მოსავლიანობის შემდგომი გადიდება, ამ კულტურების ნათესები განალაგონ საუკეთესოდ გაპოხიერებულ მიწებზე, არ დაუშვან თამბაქოს და წეკოს დარგვის დაგვიანება მათი დარგვისათვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებთან შედარებით. უზრუნველჰყონ თამბაქოს და წეკოს დარგვის სიხშირის დაწესებული ნორმების შესრულება და სულ მცირე სამჯერ გამარგვლა და მწკრივთაშორის გაფხვიერება, აგრეთვე თამბაქოსა და წეკოს დროზე გაფურჩქვნა და თავის წატეხვა.

22. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატის, ადგილობრივი პარტიული და სამიწათმოქმედო ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ საჭიროა უსათუოდ შესრულდეს კაუჩუკოვანების თესვის გეგმა და მოსავლიანობის ყოველმხრივი გადიდება და ავალებენ მათ უზრუნველჰყონ კაუჩუკოვანთა ნათესების განლაგება საუკეთესო, კარგად მომზადებულ მიწებზე, თესვის ჩატარება მოკლე ვადაში (2-3 დღეში), ფართოდ გამოიყენონ დარგვის ბუდობრივი წესი, აგრეთვე ზრდის პერიოდში ჩაატარონ სულ მცირე 4-5 კულტივაცია, გამარგვლა, სულ მცირე ორჯერ დამატებითი კვება და კოკ-საგიზის ნათესებში არაკაუჩუკოვანი ბაბუაწვერას ორჯერ სპეციალური ამოძირკვა. უზრუნველჰყონ 1947 წლის მოსავლის კოკ-საგიზის ნათესები საადრიო წმინდა ანეულებით და თვითეულ ჰექტარზე შეიტანონ სულ მცირე 25 ტონა ნაკელი.

23. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურების გაშენების დარგში ძირითად ამოცანად სთვლიან ჩაის პლანტაციებში სიმეჩხრის აღმოფხვრას და ჩაის, ციტრუსოვანთა და ტუნგოს ნარგავების აღდგენას, აგრეთვე ამ კულტურების მოვლის გაუმჯობესებას და მათი მოსავლიანობის გადიდებას.

24. დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს უზრუნველჰყონ კარტოფილის, ბოსტნეულისა და საბაღჩე კულტურების მოსავლიანობის და საერთო მოსავლის შემდგომი გადიდება, განსაკუთრებით ქალაქისპირა ზონებში, აგრეთვე სპირტის, კრახმალ-ბადაგის საკონსერვო ქარხნების ზონებში.

უზრუნველჰყონ სათბურების მშენებლობა და რემონტი ჩითილისა და საადრიო ბოსტნეულის დროზე გამოსაყვანად, გაითვალისწინონ ჩითილის გამოყვანა მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტიური და ინდივიდუალური ბოსტნებისათვის.

25. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სსრ კავშირის მიწსახკომის, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მებაღეობის, მევენახეობის აღდგენა და განვითარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, და ავალებენ მათ უზრუნველჰყონ ბაღების, საკენკრეების, ვენახების გაშენების დაწესებული გეგმის შესრულება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, არსებული ხილისა და კენკრის და ვენახის ნარგავების რემონტი (გამორგვა). ფართო დახმარება გაუწიოს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს სარგავი მასალის მომარაგებით მათს საკარმიდამო ნაკვეთებში ბაღებისა და საკენკრეების გასაშენებლად.

IV. მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების დარგში

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი 1946 წელს მტს-ების ძირითად ამოცანად სთვლიან მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების შემდგომ გაუმჯობესებას, სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხის ამაღლებას, მტს-ების მიერ კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრ საწარმოო ვალდებულებათა აგროტექნიკურ ვადებში შესრულებას და ამის საფუძველზე კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

იმის გამო, რომ ანეულის მოხვნისა და დამუშავების გეგმები ყოველწლიურად არ სრულდება, რითაც სერიოზულად ზარალდება მოსავალი, დაწესდეს, რომ სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა შესრულებულად ითვლება მხოლოდ იმ პირობით, როცა მტს-მა სამუშაოთა საერთო გეგმის შესრულებისას შეასრულა საშემოდგომო კულტურებისა და საგაზაფხულო ხორბლის დასათესად ანეულის მოხვნისა და დამუშავების დავალებანი.

2. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების წინაშე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად აყენებენ იმას, რომ 1946 წელს, შარშანდელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გადიდდეს ტრაქტორებისა და კომბაინების გამომუშავება, ამასთან ფართოდ იქნას გამოყენებული გამოცდილება მოწინავე ტრაქტორისტებისა და კომბაინერებისა, რომლებმაც მიაღწიეს ტრაქტორებისა და კომბაინების მაღალ გამომუშავებას.

3. სატრაქტორო პარკის უფრო ნაყოფიერი გამოყენების უზრუნველსაყოფად:

ა) დაკომპლექტდეს სატრაქტორო ბრიგადების ხელმძღვანელი შემადგენლობა, აგრეთვე ტრაქტორისტთა შემადგენლობა იმ ტრაქტორისტებით, რომელთაც აქვთ მუშაობის დიდი გამოცდილება, პირველ რიგში წითელი არმიიდან დემობილიზებულთა რიცხვიდან;

ბ) დაწესდეს, რომ ტრაქტორზე დამოუკიდებელი მუშაობისათვის დაიშვებიან ის ტრაქტორისტები, რომელთაც გაიარეს სწავლება და აქვთ ტრაქტორისტის წოდება. ახლად მომზადებული ტრაქტორისტები, როგორც წესი, გამოყენებულ იქნან მუშაკებად მისაბმელ მანქანებზე, მინდვრის სამუშაოთა სეზონის განმავლობაში უფროსი ტრაქტორისტის ხელმძღვანელობით პრაქტიკის მისაღებად;

გ) უზრუნველყოფილ იქნას აგრეგატების სწორი დაკომპლექტება მუშაობის პირობების გათვალისწინებით (რელიეფი, ნიადაგი);

დ) დაწესდეს, რომ სატრაქტორო ბრიგადათა ბრიგადირები, მათი თანაშემწეები, ტრაქტორისტები, აღმრიცხველ-გამმართველნი არიან სატრაქტორო ბრიგადების მუდმივი მუშაკები და, როგორც წესი, გადაყვანილ არ უნდა იქნან სხვა ბრიგადებში სამუშაოდ. მიმაგრებულ იქნან ჯადამბმე-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო
კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

(დასასრული)

ლები და კოლმეურნეები სატრაქტორო ბრიგადების მომსახურებისათვის კოლმეურნეობაში ბრიგადის მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

4. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში გაუპიროვნების აღმოფხვრისა და საკოლმეურნეო მინდვრების ტრაქტორით დამუშავების ხარისხის ამაღლების მიზნით დაევალოთ პარტიის რაიკომებს, რაიაღმასკომებსა და მტს-ების დირექტორებს საგაზაფხულო თესვის დაწყებამდე სატრაქტორო ბრიგადები დიდ კოლმეურნეობებში მინდვრის სამუშაოთა მთელი პერიოდის განმავლობაში მიამაგრონ, როგორც წესი, მემინდვრეობის ბრიგადებს, ხოლო პატარა კოლმეურნეობათა მომსახურებისას ერთ კოლმეურნეობას ან კოლმეურნეობათა ჯგუფს, ამასთან უზრუნველჰყონ სატრაქტორო ბრიგადების მიმაგრება, როგორც წესი, იმ მემინდვრეობის ბრიგადებსა და კოლმეურნეობებზე, რომლებზეც ისინი მიმაგრებული იყვნენ გასულ წელს.

5. მტს-ების მიერ კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად დროზე დამთავრდეს სატრაქტორო ბრიგადების მოწყობა, მუშაობის მთელ სეზონში ტრაქტორებისა და მანქანების მიმაგრება ბრიგადებსა და ტრაქტორისტებზე; თვითეული სატრაქტორო ბრიგადისათვის დაწესდეს სატრაქტორო სამუშაოთა წლიური დავალებანი კოლმეურნეობების, სატრაქტორო სამუშაოთა სახეებისა და მათი შესრულების ვადების აღნიშვნით; შედგენილ იქნას სამუშაო გეგმები მინდვრის სამუშაოთა პერიოდისათვის, სახეთა მიხედვით სამუშაოთა დანაწილებით, სამუშაოთა ვადებისა და ხარისხის აღნიშვნით, აგრეთვე ჩაბარდეს ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოვლის ტექნიკური გრაფიკები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდების მიხედვით. დაევალოს მექანიკოსებს სულ მცირე კვირაში ერთხელ პირადად შეამოწმონ ყოველ სატრაქტორო ბრიგადაში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური მდგომარეობა, აგრეთვე მათი ტექნიკური მოვლის გრაფიკის დაცვა.

6. სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და აგროტექნიკის დონის ამაღლების მიზნით დაევალოს მტს-ებისა და რაიმიწგანების აგრონომებს განახორციელონ ყოველდღიური კონტროლი სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხისადმი და ზუსტად გაატარონ დადგენილი წესი, რომლის მიხედვითაც არაკეთილხარისხოვნად შესრულებული სამუშაო დაწუნებულ იქნება და არ ანაზღაურდება.

7. ფართოდ დაინერგოს მოწინავე სატრაქტორო ბრიგადებისა და კოლმეურნეობების გამოცდილება ტრაქტორების ტექნიკური მოვლისათვის სატრაქტორო ბრიგადებში ტრაქტორისტებისა და კოლმეურნეობების ძალებით ადგილობრივი სამშენებლო მასალებით უმარტივესი საველე სახელოსნოების, ფარდულების აგების საქმეში და ბრიგადის საწვავის შესანახავად უმარტივესი სარდაფების აგების საქმეში.

8. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ საჭიროა დამყარდეს წესრიგი მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ნავთის მეურნეობაში, საწვავის უმკაცრესი ეკონომია და აღმოიფხვრას მისი განიავების ყოველგვარი ცდა.

9. იმ მიზნით, რომ გაძლიერებულ იქნას ტრაქტორისტებისა და მექანიკოსების მატერიალური დაინტერესება მინდვრის სამუშაოთა ვადების დაჩქარებით და ხარისხის ამაღლებით, მანქანა-ტრაქტორთა პარკის გამოყენების გაუმჯობესებით:

ა) 1946 წელს დარჩეს ტრაქტორისტებისათვის პრემიების მიცემა საგაზაფხულო თესვაში დაწესებულ 15-დღიან დავალებათა შესრულებისათვის;

ბ) დარჩეს ტრაქტორისტებისათვის შრომადღეების ორმაგად დარიცხვის წესი და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის საწვავის ხარჯვის ნორმის 10 პროცენტით გადიდება თესვის სამუშაოთა პირველი 6 დღის განმავლობაში.

10. დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ „გლავნეფტესნაბს", გზათა სახალხო კომისარიატს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს უზრუნველჰყონ ამა წლის 15 მაისამდე ნავთის პროდუქტების მიზიდვა ანეულის მოხვნისა და დამუშავების სრულად უზრუნველყოფისათვის და ამა წლის 15 ივნისამდე მოსავლის აღებისათვის.

11. მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სრული გამოყენების მიზნით დაევალოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს, საავტომობილო მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს და სხვა სახალხო კომისარიატებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველჰყონ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სამარაგო ნაწილების დამზადების პროგრამის აუცილებელი შესრულება და ამ ნაწილებით მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შეუფერხებელი მომარაგება მინდვრის სამუშაოთა მთელი პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სამარაგო ნაწილებით მომარაგებას საგაზაფხულო თესვისათვის, ანეულის მოხვნისა და დამუშავების, მოსავლის აღების, საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნისათვის.

12. მოწონებულ იქნას ინიციატივა ჩელიაბინსკის, ომსკისა და სხვა ოლქების სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებისა, რომლებიც სერიოზულ დახმარებას უწევენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სახელოსნოების მშენებლობისა და მოწყობის საქმეს, დაევალოთ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებს სამრეწველო საწარმოთა დახმარებით მოაწყონ 1946 წელს მტს-ების ტიპური სახელოსნოების ფარდულების მშენებლობა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახავად, კანტორებისა და საცხოვრებელი ბინების აგება, რათა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები კეთილმოწყობილ, კულტურულ საწარმოებად გადაიქცნენ.

13. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების, აგრეთვე უკრაინის, მოლდავეთისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკების დასავლეთი რაიონების საბჭოთა, პარტიულ და სამიწათმოქმედო ორგანოებს უზრუნველჰყონ ორგანიზაციული და საწარმოო დახმარება გლეხური მეურნეობებისადმი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისადმი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი საგაზაფხულო თესვის მომზადების, მისი ჩატარებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების საქმეში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის გეგმის შესრულება წარმოადგენს საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების, სამიწათმოქმედო ორგანოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, კომუნისტებისა და კომკავშირელების, აგრონომების, მექანიკოსების, კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებისა და მოსამსახურეების უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას მოსახლეობის სურსათით, ხოლო მრეწველობის ნედლეულით მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

დაიწყო 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის მეშვიდე ტირაჟი

გუშინ, 9 მარტს, საღამოს, თბილისში, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის დარბაზში დიდძალი ხალხის თანდასწრებით, საზეიმო ვითარებაში დაიწყო 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის მეშვიდე ტირაჟი.

ტირაჟის დაწყების წინ საბჭოთა კავშირის შინაგანი სახელმწიფო სესხების მნიშვნელობისა და როლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ძ. ციმაკურიძე. შემდეგ გამოქვეყნდა სატირაჟო კომისიის შემადგენლობა და შემოწმებულ იქნა ტირაჟის გასათამაშებელი ტექნიკური მოწყობილობები. სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ლ. ვასილიევამ დაწვრილებით გააცნო 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების პირობები და ტირაჟის ჩატარების წესი. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ვ. მიტინი.

დაიწყო მოგებათა ტირაჟი. პირველი მოგება 10.000 მანეთის რაოდენობით ხვდა № 00446 სერიის № 5 ობლიგაციას, ხოლო ამავე სერიის დანარჩენ 49 ნომრის ობლიგაციებმა მოიგეს 200 მანეთი თვითეულმა. სულ ამ საღამოს გათამაშებულ იქნა 35 მოგება. მათ შორის 5.000 მანეთიანი მოგება ხვდა № 17792 სერიის № 32 ობლიგაციას, ხოლო ამავე სერიის დანარჩენ 49 ობლიგაციას ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

დღეს დილის 11 საათიდან ტირაჟის გათამაშება განახლდება.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ ჩოიბალსანის პატივსაცემად

9 მარტს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა კრემლში სადილი გამართა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მარშალ ჩოიბალსანის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ: მარშალი ჩოიბალსანი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ცედენბალი და ლუბსანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დესპანი მოსკოვში სამბუ, მონღოლეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი შერენდიბი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრი ლუბსან-ჟამიანი და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ: ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ა. ბულგანინი, ვ. ნ. მერკულოვი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ვ. გ. დეკანოზოვი და ს. ა. ლოზოვსკი, სსრ კავშირის დესპანი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. ა. ივანოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ვ. პ. მიგუნოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. მ. კაგანოვიჩი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

ბულგარეთის შესახებ

ამა წლის 27 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მოსკოვში ამერიკის საელჩოსაგან მიიღო ნოტა, რომელშიც იუწყება იმის შესახებ, რომ 22 თებერვალს სახელმწიფო დეპარტამენტმა ბულგარეთის წარმომადგენელს ვაშინგტონში გენერალ სტოიჩევს გადასცა სამახსოვრო ბარათი, სადაც ჩამოყალიბებულია ამერიკის მთავრობის პოზიცია სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის იმ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ, რომლებიც ბულგარეთს ეხება. ხსენებულ სამახსოვრო წერილში ნათქვამია:

„ბულგარეთის გარკვეულ წრეებში, როგორც სჩანს, ჯეროვნად არ არის გაგებული ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიცია სამი მინისტრის მოსკოვის თათბირზე 1945 წლის დეკემბერში ბულგარეთის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გამო, ამიტომ შეერთებული შტატების მთავრობას სურს, რომ ქვემომოყვანილი განცხადება ხსენებულ საკითხებზე მისი თვალსაზრისის შესახებ, რაც საბჭოთა კავშირისა და ბრიტანეთის მთავრობებს ეუწყა, ეცნობოს ბულგარეთის მთავრობას:

„შეერთებული შტატების მთავრობა იმ აზრით განმარტავს მოსკოვის გადაწყვეტილებას, რომ ბულგარეთის მთავრობას და ოპოზიციას წინადადება უნდა მიეცეთ გამონახონ ურთიერთმისაღები ბაზისი, რათა ბულგარეთის ახლანდელ მთავრობაში მონაწილეობა მიიღოს ორმა წევრმა, რომლებიც ნამდვილად წარმოადგენენ ოპოზიციურ პარტიებს. შეერთებული შტატების მთავრობას ეს არასოდეს არ გაუგია ისე, რომ ოპოზიციაზე გავლენას მოახდენდნენ, რათა მან წამოაყენოს ორი კანდიდატი მთავრობაში შესაყვანად პროფორმისათვის, მათი მონაწილეობის პირობების მიუხედავად. თუმცა მოსკოვის შეთანხმებაში მოყვანილი არ არის რაიმე სპეციფიკური პირობები ოპოზიციის ორი წარმომადგენლის შესაყვანად, მაგრამ იქ, შეერთებული შტატების მთავრობის აზრით, გათვალისწინებულია, რომ ასეთ წარმომადგენელთა მონაწილეობა უნდა მოხდეს როგორც ბულგარეთის მთავრობის, ისე ოპოზიციისათვის ურთიერთმისაღებ პირობათა ბაზაზე.

შეერთებული შტატების მთავრობის გულწრფელი იმედი იყო და არის, რომ ბულგარეთის მთავრობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები, ურთიერთშერიგების ვითარებაში ერთმანეთთან შეხვედრის შემდეგ შესძლებენ შეთანხმდნენ და ნამდვილადაც შეთანხმდებიან ურთიერთმისაღებ საფუძველზე ერთად მუშაობის შესახებ, საფუძველზე, რაც ოპოზიციური პარტიების ორ წევრს, რომლებიც ნამდვილად წარმოადგენენ ამ პარტიებს, საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ მთავრობაში".

7 მარტს ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ამხ. ნ. ვ. ნოვიკოვმა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა საბჭოთა კავშირის საპასუხო ნოტა, რომლის ტექსტიც ქვემოთ არის მოყვანილი:

„ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ამა წლის 22 თებერვალს ამერიკის შეერთებულ შტატებში ბულგარეთის პოლიტიკური წარმომადგენლისათვის გადაცემულ სამახსოვრო ბარათთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის მთავრობამ დამავალა გაცნობოთ შემდეგი:

ხსენებულ ბარათში ნათქვამია, რომ მოსკოვის შეთანხმებაში გათვალისწინებულია, რომ ბულგარეთის მთავრობაში ოპოზიციის ორი წარმომადგენლის მონაწილეობა უნდა მოხდეს „როგორც ბულგარეთის მთავრობის, ისე ოპოზიციისათვის ურთიერთმისაღებ პირობათა ბაზაზე".

ნამდვილად სამი მინისტრის მოსკოვის 1945 წლის დეკემბრის თათბირის გადაწყვეტილებაში გათვალისწინებულია მხოლოდ ორი პირობა. ეს პირობები იმაში მდგომარეობს, რომ ბულგარეთის მთავრობის შემადგენლობაში დამატებით შესაყვანი სხვა დემოკრატიული ჯგუფების ორი წარმომადგენელი: ა) ნამდვილად წარმოადგენდეს იმ პარტიათა ჯგუფებს, რომლებიც მთავრობაში არ მონაწილეობენ, და ბ) ნამდვილად იყვნენ შესაფერნი და ლოიალურად იმუშაონ მთავრობასთან ერთად. მოსკოვის თათბირზე ბულგარეთის შესახებ გადაწყვეტილებაში არავითარი სხვა პირობა არ ყოფილა მიღებული.

მოხსენებულის გამო საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

ჯერ-ერთი, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადება, რომელიც მან ბულგარეთის მთავრობას გაუკეთა 22 თებერვალს, არ შეესაბამება მოსკოვში ბულგარეთის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, ვინაიდან მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები უნდა შევიდნენ ბულგარეთის მთავრობის შემადგენლობაში რაღაც ურთიერთმისაღები პირობების ბაზაზე.

მეორე, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხსენებული განცხადება წარმოადგენს სამი მინისტრის მოსკოვის გადაწყვეტილების დარღვევას, რამდენადაც ამ განცხადებაში ბულგარეთის მთავრობაში ოპოზიციის წარმომადგენელთა მონაწილეობის მისაღებად წამოყენებულია ახალი პირობა, რომელიც ამ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული არ არის.

მესამე, საბჭოთა მთავრობამ უკვე წინათ მიაქცია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება იმას, რომ ბულგარეთში შეერთებული შტატების წარმომადგენელი ბ-ნი ბარნსი სისტემატურად აქეზებს ბულგარელ ოპოზიციონერებს იმისათვის, რომ მათ იმოქმედონ არა სამი მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, არამედ წამოაყენონ ბულგარეთის მთავრობაში შესვლის ახალი პირობები, რომლებსაც არ ითვალისწინებს მოსკოვის თათბირი. შეერთებული შტატების მთავრობის 22 თებერვლის განცხადება, ბულგარეთის მთავრობისადმი გამსჭვალულია იმავე მისწრაფებით, რომლითაც გამსჭვალულია ბ-ნ ბარნსის მოქმედება, და შეუძლია მხოლოდ წააქეზოს ბულგარეთის ოპოზიციის წარმომადგენლები—წინააღმდეგობა გაუწიონ სამი მინისტრის თათბირის გადაწყვეტილებას.

ამრიგად, შეერთებული შტატების მთავრობამ არა მარტო არ მიიღო ზომები—ხელი შეეწყო სამი მინისტრის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილების შესრულებისათვის, არამედ, პირიქით, 22 თებერვლის თავისი განცხადებით აქეზებს ოპოზიციას ჩაშალოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა მოსკოვის თათბირზე შეერთებული შტატების წარმომადგენლის მონაწილეობით.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის ფაქტი, რომ შეერთებული შტატების მთავრობის ხსენებული განცხადება გაკეთებულ იქნა ცალმხრივი წესით და სრულიად არ ყოფილა ცდა, რომ ეს ნაბიჯი წინასწარ შეეთანხმებინათ სხვა დაინტერესებულ მთავრობებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

საბჭოთა მთავრობა შეერთებული შტატების მთავრობას აუწყებს, რომ მან საჭიროდ ჩასთვალა ეცნობებინა ბულგარეთის მთავრობისათვის თავისი ეს განცხადება, რამდენადაც შეერთებული შტატების 22 თებერვლის განცხადება ეცნობა ბულგარეთის მთავრობას".

ირანის დელეგაცია ბაქოს ესტუმრა

ბაქო, 9 მარტი. (საკდესი). გუშინ ბაქოში ჩამოვიდა ირანს მიმავალი ირანის პრემიერ-მინისტრი კავამ-ეს-სალტანე და მისი თანხლები პირები. აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მ. ი. ალიევი, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. აეროდრომი მორთული იყო საბჭოთა და ირანის ალმებით.

საღამოს სტუმრები ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრნენ ოპერა „ლეილი და მეჯნუნის" წარმოდგენას.

დიდი კობზარი

(85 წელი ტ. შევჩენკოს გარდაცვალებიდან)

თავისუფლებისათვის გაბედული მებრძოლი ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკო უკრაინელი ხალხის ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს. 47 წელი იცოცხლა შევჩენკომ და აქედან 24 წელი ბატონის კარზე ყმობაში, შეურაცხყოფასა და დამცირებაში გაატარა, ხოლო 10 წელი—კაზემატებსა, საპყრობილესა და გადასახლებაში. მაგრამ ვერავითარმა დევნამ და შევიწროებამ ვერ გასტეხა მისი მებრძოლი სული. შევჩენკო ბოლომდე დარჩა უკრაინის ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლ მგზნებარე ტრიბუნად.

ტარას შევჩენკოს ბავშვობიდანვე მოუხდა შეჯახება სოციალურ უთანასწორობასთან და, როგორც თვითონ ამბობდა, პირველი ცრემლი ქვეყნად არსებული ბოროტების გამო ბავშვმა ღარიბულ „ხატაში" (ქოხში) დაღვარა. შევჩენკო დაიბადა 1814 წლის მარტში, კიევის გუბერნიის ყმა გლეხის ოჯახში. იშვიათი ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვი, მოჯამაგირეობაში, „როზგებითა" და შევიწროებით გამწარებული ახერხებს წერა-კითხვის შესწავლას. დიდი ტანჯვით, რომ ბატონებს არ შეემჩნიათ, ვარჯიშობდა იგი ხატვაშიც.

1831 წლიდან შევჩენკო პეტერბურგშია. აქ იგი ეცნობოდა მოწინავე მხატვრებს, რუს პოეტ ჟუკოვსკის და მეგობრების დახმარებით თვითგანვითარებას ეწევა.

1835 წელს შევჩენკოს მეგობრებმა ჟუკოვსკის დახმარებით ფული შეაგროვეს და 2.500 მანეთად გამოისყიდეს იგი ბატონისაგან. ეს დიდი ბედნიერება იყო შევჩენკოსათვის. მალე იგი შედის სამხატვრო აკადემიაში და ბეჯითად მუშაობს ცოდნის გასაღრმავებლად, სწავლობს არა მარტო ხატვასა და ფერწერას, არამედ ისტორიას, ეკონომიურ მეცნიერებას, ლიტერატურას, ეცნობა უტოპიური სოციალიზმის მამამთავართა ნაწარმოებთ.

მხატვრობასთან ერთად შევჩენკომ ადრევე დაიწყო ლექსების წერა. 1840 წელს პირველად დაიბეჭდა მისი პოემა „კობზარი", რომელსაც რუსეთის მოწინავე საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა. „კობზარს" მოჰყვა „ჰაიდამაკები". შრომისმოყვარე, დიდი ინტუიციის მქონე, მაღალი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა საყოველთაო ყურადღების საგანი გახდა.

ტ. შევჩენკოს პოეზია გამოჰხატავდა უსაზღვრო სიყვარულს მშრომელი ხალხისადმი, შეურიგებელ სიძულვილს მეფის მთავრობის მონარქისტულ-ბიუროკრატიული რეჟიმისა, მემამულე-თავად-აზნაურებისა და უცხოელი დამპყრობლებისადმი.

დიდი პოეტი ტ. შევჩენკო მოღვაწეობდა მაშინ, როცა ნიკოლოზ პირველის ჟანდარმული რეჟიმისა და ფეოდალ-მემამულეთა უღლის ქვეშ გმინავდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხები, მათ შორის უკრაინელი ხალხიც.

1847 წელს შევჩენკოს აპატიმრებენ რევოლუციური მოღვაწეობისათვის. ნიკოლოზ პირველის ბრძანებით მას აეკრძალა ლექსების წერა და ხატვა, რადგან მისი ლექსები და ყალამი ხალხის გულისტკივილს გამოჰხატავდა. სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პოეტი მაინც ახერხებს ლექსების წერასა და ხატვას. გადასახლებაში ყოფნისას შექმნა მან უკვდავი პოემები. 1850 წელს შევჩენკოს წაასწრეს ლექსის წერაზე და კვლავ დააპატიმრეს. მხოლოდ 1857 წელს ეღირსა მას თავისუფლება. ჯანმრთელობა შერყეული პოეტი გარდაიცვალა 1861 წლის 10 მარტს.

XIX საუკუნის 50-იან წლებში შევჩენკო დაუახლოვდა რუს განმანათლებლებს. რევოლუციონერ დემოკრატთა ჯგუფს ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს, გერცენს. რუსეთის საუკეთესო შვილთა ოჯახში გაეცნო ტ. შევჩენკოს ჩვენი დიდი პოეტი აკაკი წერეთელი.

ტ. შევჩენკო იყო დიდი მოაზროვნე, შესანიშნავი მოქალაქე. კ. მარქსი, რომელიც იცნობდა შევჩენკოს ნაწერებს, მაღალ შეფასებას აძლევდა მას. ვ. ი. ლენინი შევჩენკოს უწოდებს, გენიალურ უკრაინელ მწერალს. გერცენი, დობროლუბოვი, მ. გორკი და სხვა გამოჩენილი მოაზროვნეები მუდამ აღნიშნავდნენ შევჩენკოს დიდ დამსახურებას. შევჩენკოს ფართოდ იცნობდნენ უცხოეთშიც. ვიქტორ ჰიუგო და სხვა დიდი მწერლები და პოეტები მოწიწებით იხსენიებდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ პოეტს.

დიდია შევჩენკოს როლი უკრაინის ლიტერატურის განვითარების საქმეში. მხატვრული სიტყვის ამ უბადლო ოსტატმა, უკრაინული ენა ახალ საფეხურზე აიყვანა, უფრო მისაწვდომი გახადა ფართო მასებისათვის. ამიტომაც იგი თავიდანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მისი ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა. მის ლექსებს მღეროდა ხალხი. მრავალი უკრაინელი კომპოზიტორის ნაწარმოებნი დაწერილია შევჩენკოს ლექსების ტექსტზე.

უკრაინელი მშრომელი ხალხის საუკეთესო მისწრაფებანი შევჩენკოს შემოქმედებაში იყო გამოხატული. შევჩენკო იქცა ეროვნულ გმირად, რომელმაც ძალა მისცა და გააერთიანა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის უკრაინის მშრომელები.

შევჩენკოს სიდიადე კიდევ ის არის, რომ თავისი დროის რუსეთისა და მსოფლიოს მოწინავე ადამიანებს მან გააცნო თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხი.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დაფასდა ჯეროვნად შევჩენკოს შემოქმედება. ვ. ი. ლენინის წინადადებით ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიდგა შევჩენკოს ძეგლი.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში შევჩენკოს შემოქმედება ჩვენს ხალხთან ერთად იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამიტომაც ეჯავრებოდათ იგი გერმანელ დამპყრობლებს: ფაშისტმა ავაზაკებმა დაარბიეს შევჩენკოს საფლავი კანევში.

შევჩენკოს მუდამ სწამდა სამართლიანი საქმის გამარჯვება. პოემაში „კავკასი" იგი ამბობდა:

„...და სიმართლეც არ მოკვდება,
ვერ ჩაჰკლავენ ლაღებს".

შევჩენკოს მთელი არსებით სძულდა გერმანელი დამპყრობლები, ის გონებაჩლუნგი ვაჟბატონები, რომლებიც არა ერთხელ ცდილან დაემონებიათ უკრაინელი ხალხი, მაგრამ ვერასოდეს ვერ მოიკიდეს ფეხი უკრაინის მიწა-წყალზე, რადგან უკრაინელებს არ სურდათ ყოფილიყვნენ მონები. შევჩენკო დასცინის იმ ბაქია გერმანელებს, რომლებიც ლამობდნენ უკრაინის დაპყრობას, და ამ იმედით „კარტოფილს რგავდა გერმანელი", მაგრამ გერმანელს არ დასცალდა კარტოფილის ნაყოფის მოწევამდე გაეძლო უკრაინის მიწაზე.

შევჩენკოს პატრიოტული ლექსები აღაფრთოვანებდა ჩვენს მებრძოლებს, ჩვენს ხალხს დიდ სამამულო ომში. ახლა საბჭოთა ხალხი ზეიმობს მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებას. აყვავებული უკრაინა საბჭოთა ხალხის დიად ოჯახში იშუშებს ომის მიერ მიყენებულ ჭრილობას.

თავის ანდერძში ტ. შევჩენკო ხალხს უბარებდა:

„მაშ დამმარხეთ, წამოდექით,
იწყეთ ბორკილთ მსხვრევა,
სილაღეზე, მტარვალების
ბოროტ სისხლის ფრქვევა.
და მეც ხალხის დიად ჰერქვეშ,
ახალ სახლში მარად:
გამიხსენეთ, მომიგონეთ
თბილი სიტყვით წყნარად".

მადლიერი უკრაინელი ხალხი, მთელი საბჭოთა ხალხი მუდამ პატივისცემით მოიხსენიებს დიდ კობზარს, რომელმაც თავისი მგზნებარე სიცოცხლე ნათელი მომავლისათვის ბრძოლას შესწირა.

ლ. სტურუა

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

საქართველოს მოჭადრაკეთა მეშვიდე ჩემპიონატი, რომელიც დღეს იწყება, უსათუოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ ასეთ ძლიერ მოჭადრაკეთა შეჯიბრება უკანასკნელი წლების მანძილზე მხოლოდ მოსკოვსა და ლენინგრადში თუ ჩატარებულა.

ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, რომ მოკლედ მოგვეგონებინა ადრე ჩატარებული ჩემპიონატების ისტორია.

საქართველოს მოჭადრაკეთა პირველი შეჯიბრება რესპუბლიკის პირველობაზე 1928 წელს მოხდა. შეჯიბრებაში მხოლოდ თბილისელი მოჭადრაკეები იღებდნენ მონაწილეობას. ამ ჩემპიონატში პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს გამოცდილმა მოჭადრაკემ ნ. სოროკინმა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვ. გოგლიძემ. მეორე ჩემპიონატი სრული 10 წლის შემდეგ ჩატარდა. აქაც მხოლოდ ადგილობრივი მოჭადრაკეები თამაშობდნენ. პირველ ადგილზე გამოვიდა ა. ებრალიძე. მესამე ჩემპიონატი 1936 წელს ქუთაისში გაიმართა. კონკურსს გარეშე ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა ლენინგრადელმა ოსტატმა ილინ-ჟენევსკიმ. აქაც პირველობა ა. ებრალიძემ შეინარჩუნა.

განსაკუთრებით ძლიერი და საინტერესო იყო მეოთხე ჩემპიონატი, რომელიც გაიმართა 1941 წელს, საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავზე. ამ ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს მაესტრო ვ. მაკაგონოვმა (ბაქო), მაესტრო მიკენასმა (ლიტვა), მაესტრო კასპარიანმა (ერევანი). ამ ჩემპიონატში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ა. ებრალიძემ. მან პარტიის წაუგებლივ დააგროვა 15 ქულა და მესამედ პირველობა შეინარჩუნა. მოპოვებული წარმატებისათვის ა. ებრალიძეს სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭეს.

შემდეგი, მეხუთე ჩემპიონატი 1944 წელს ჩატარდა. აქაც კონკურსს გარეშე მონაწილეობა მიიღო ოსტატმა ვ. მიკენასმა. ა. ებრალიძეს შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია. სასტიკი ბრძოლის შემდეგ პირველ ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი მ. შიშოვი.

უკანასკნელი, მეექვსე ჩემპიონატი თავისი შემადგენლობით უფრო სუსტი იყო წინაზე.

მომავალ ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ გროსმაისტერი პ. კერესი (ესტონეთი), სპორტის ოსტატები ა. ებრალიძე, ვ. მიკენასი (ლიტვა), ე. ზაგორიანსკი (მოსკოვი), ოსტატობის კანდიდატები ა. ბლაგიძე, შ. ცინცაძე, ა. ფირცხალავა, ვ. სერედა, ნ. სოროკინი, მ. შიშოვი, ტ. პეტროსიანი, პირველი კატეგორიის მოჭადრაკეები ვ. ქარსელაძე, გ. გაჩეჩილაძე, ა. ფალავანდიშვილი, ვ. მალაშხია, თ. გიორგაძე, ტ. არუთინოვი, ე. ნერსესოვი, ვ. აგამალიანი, ბ. ვეიზერი.

უეჭველია, რომ მიმდინარე ჩემპიონატი ჩვენში საჭადრაკო ხელოვნების შემდგომი მძლავრი განვითარების სტიმული გახდება.

ა. ფალავანდიშვილი

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

25 თებერვლის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 25 თებერვალი. (საკდესი). ტრიბუნალის დილის სხდომაზე ბრალდებულ რიბენტროპის დამცველი — ჰორნი განაგრძობდა შუამდგომლობათა წარდგენას მოწმეების გამოწვევის შესახებ. დამცველმა ითხოვა გამოწვეულ იქნას გენერალი კესტრინგი — გერმანიის ყოფილი სამხედრო ატაშე მოსკოვში.

ბრალდების წარმომადგენელი დევიდ მაქსუელ-ფაიფი წინააღმდეგია ამ მოწმის გამოწვევისა.

თავმჯდომარე ლორდი ლოურენსი აღნიშნავს, რომ საკითხს ამ მოწმის გამოწვევის შესახებ ტრიბუნალი განიხილავს, ისევე როგორც დაცვის მიერ წინათ ნათხოვნი მოწმეების გამოწვევის საკითხს.

შემდეგ დამცველი შუამდგომლობს, რომ 39 მოწმეთა შორის გამოწვეულ იქნან გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთელი რიგი ყოფილი მუშაკები, გერმანიის ელჩები და დესპანები, აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ზოგიერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე.

იმ პირთა შორის, რომელთა გამოწვევასაც დაცვა შუამდგომლობს და რომელთა გამოწვევის საწინააღმდეგო ბრალდებას არაფერი აქვს, არიან გერმანიის ყოფილი დესპანი ბუქარესტში ფაბრიციუსი, გერმანიის ყოფილი დესპანი ოსლოში გრუნდჰერი და გერმანიის საელჩოს ყოფილი მრჩეველი გოტფრიდსენი.

ბრალდება წინააღმდეგია იმისა, რომ ტრიბუნალში მოწმეებად — ჩვენების მისაცემად გამოწვეულ იქნან უინსტონ ჩერჩილი, ადმირალი შუსტერი, როგორც იმ მოლაპარაკების მონაწილე, რაც ლონდონში 1935 წლის გაზაფხულზე მოხდა და რასაც შედეგად მოჰყვა გერმანია-ინგლისის შეთანხმების დადება სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესახებ, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების ყოფილი უფროსი დერნბერგი, დესპანი შნური, მარკიზი და მარკიზის მეუღლე დე პოლინიაკები, გრაფი და გრაფის მეუღლე ჟან-დე-კასტელიენები, საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დალადიე, საფრანგეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბონე, ყოფილი ელჩი აბეცი, ხოლო ლონდონიდან — ერნესტ ტენანტი და პროფესორი კონველ-ევანსი.

ამ მოწმეების და, კერძოდ, ადმირალ შუსტერის სასამართლოში გამოწვევის საკითხის განხილვისას ბრალმდებელმა დევიდ მაქსუელ-ფაიფმა განაცხადა: „ამ მოწმეს დაცვა იწვევს იმიტომ, რომ ის მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებაში, რასაც შედეგად მოჰყვა ინგლის-გერმანიის 1935 წლის საზღვაო შეთანხმება. სავსებით ცხადია, დაცვას სურს, რათა მოწმემ დაამტკიცოს, რომ ეს ხელშეკრულება დადებულ იქნა ბრალდებულ რიბენტროპის ინიციატივით. ბრალდებას მიაჩნია, რომ ეს საკითხი საქმეს არ ეხება, ვინაიდან მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების შესახებ ცნობილია და ხელშეკრულების ფაქტი სასამართლომ უნდა მიიღოს დაუმტკიცებლად, როგორც საყოველთაოდ ცნობილი დოკუმენტი. საერთოდ ბრალდება ფიქრობს, რომ მოლაპარაკება და ძველი ხელშეკრულებები არ შეიძლება წარმოადგენდნენ განხილვის საგანს, ვინაიდან ამ შემთხვევაში დაშვებული იქნება დროის სრულიად ზედმეტად დახარჯვა".

მთავარი ბრალმდებელი სსრ კავშირისაგან რუდენკო გამოვიდა მოწმე შუსტერის გამოწვევის საკითხზე და განაცხადა: „მე ვფიქრობ, ამ საკითხში ერთი პრინციპული უთანხმოებაა ბრალდებასა და დაცვას შორის. დაცვა ცდილობს მოწმეთა დაკითხვით დაამტკიცოს ბრალდებულთა მისწრაფება დაედოთ მშვიდობისმოყვარული ხელშეკრულებანი. ბრალდება გამოდის სხვა ფაქტიდან, სახელდობრ, დადებულ ხელშეკრულებათა ვერაგულად დარღვევის და ამ ხელშეკრულებათა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა ჩადენის ფაქტიდან. სწორედ ამ მოსაზრებებით სრულიად ზედმეტია იმ მოწმეთა გამოწვევა, რომელნიც შეუდგებიან იმის მტკიცებას, რომ ბრალდებულნი ცდილობდნენ სამშვიდობო ხელშეკრულებათა დადებას. ამ ხელშეკრულებათა ვერაგული დარღვევის ფაქტი საყოველთაოდ ცნობილი გახდა".

იმისათვის, რომ გამოირკვეს, თუ რამდენად შეიძლება შეეხებოდეს საქმეს მოწმე შუსტერის ჩვენება, თავმჯდომარე ლორდი ლოურენსი შემდეგ კითხვას აძლევს დამცველს: „დავუშვათ, რომ რიბენტროპს სურდა ხელშეკრულებები დაედო ინგლისთან და არ სურდა, რომ გერმანიას ეომნა ინგლისის წინააღმდეგ. რა დამოკიდებულება ექნება ამ ფაქტს ბრალდებასთან იმ ნაწილში, სადაც შეთქმულებს ბრალი ედებათ იმაში, რომ ისინი გეგმავდნენ ომს პოლონეთის წინააღმდეგ. ყველაზე არსებითი საკითხი, რომელიც ჩვენ აქ უნდა განვიხილოთ, ის საკითხია, თუ რამდენად ეხება მოწმეთა ჩვენება საქმეს".

დამცველმა ჰორნმა თავი აარიდა პირდაპირი პასუხის გაცემას თავმჯდომარის შეკითხვაზე.

შემდგომი 13 მოწმის და მათ შორის საერთაშორისო წითელი ჯვრის პრეზიდენტის პროფესორ კარლ ბურკჰარდტის, ლორდების ლონდონდერის, ბივერბრუკის, ვანსიტარტის გამოწვევის შესახებ შუამდგომლობათა განხილვისას ბრალმდებელი წინააღმდეგი არ არის, რომ ამ 13 მოწმისაგან მიღებულ იქნას პასუხი შეკითხვის ფურცლებზე და წერილობითი ჩვენება.

დამცველი ჰორნი დაჟინებით მოითხოვს მის მიერ დასახელებულ მოწმეთა გამოწვევას, რასაც ასაბუთებს იმის საჭიროებით, რომ გამოირკვეს, როდის წარმოიშვა ჰიტლერული შეთქმულება და როდის შეუერთდა ამ შეთქმულებას ჰორნის მარწმუნებელი ბრალდებული რიბენტროპი.

მთავარი ბრალმდებლის მოადგილე ინგლისისაგან დევიდ მაქსუელ-ფაიფი წინადადებას აძლევს ჰორნს მიმართოს სტენოგრაფიულ ანგარიშებს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის 1946 წლის იანვრის სასამართლო სხდომების შესახებ და მეხსიერებაში აღიდგინოს ბრალდებულ რიბენტროპის დანაშაულობათა შესახებ ბრალდების მიერ წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთები.

დევიდ მაქსუელ-ფაიფი მოაგონებს დამცველ ჰორნს, რომ ბრალდებამ დოკუმენტალურად დაამტკიცა რიბენტროპის მონაწილეობა ჰიტლერულ შეთქმულთა მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში, აგრეთვე ის, რომ შემდეგში რიბენტროპს სხვადასხვა ოფიციალური პოსტები ეკავა ჰიტლერულ მთავრობაში და რომ იგი დანაშაულებრივ როლს ასრულებდა ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ნორვეგიის, დანიის, ჰოლანდიის, ბელგიის, ლუქსემბურგის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ აგრესიაში.

ბრალმდებელი აგრეთვე მოაგონებს, რომ ბრალდებული რიბენტროპი მონაწილეობას იღებდა სამშვიდობო კონვენციებისა და ხელშეკრულებების დარღვევაში.

უპასუხებს რა ტრიბუნალის თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ როდის დაიწყო ბრალდებულ რიბენტროპის მონაწილეობა შეთქმულებაში და პასუხისმგებელია თუ არა შეთქმულებაში ჩაბმული პირი იმ დანაშაულისათვის, რაც ჩადენილია შეთქმულებაში მის ჩაბმამდე, ბრალმდებელი აცხადებს, რომ შეთქმულება დაიწყო 1921 წელს ჰიტლერული პარტიის შექმნიდან.

ტრიბუნალის თავმჯდომარის შეკითხვაზე, დაიწყო თუ არა შეთქმულება ადამიანობის წინააღმდეგ აგრეთვე 1921 წელს, ბრალმდებელი ადასტურებს, რომ ეს შეთქმულება ჰიტლერული პარტიის შექმნიდან დაიწყო.

შემდეგ ბრალმდებელი დაწვრილებით პასუხს აძლევს ტრიბუნალის თავმჯდომარის შეკითხვაზე იმ ჰიტლერელ დამნაშავეთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც შეთქმულებაში ჩაებნენ უფრო გვიან სტადიაში. იგი ამბობს, რომ, თუ პიროვნება შეთქმულებაში ჩაება უფრო გვიან სტადიაში იმ მიზნით, რომ ჩაედინა რაიმე დანაშაულებრივი ქმედობა, იგი შეიძლება მსჯავრდადებულ იქნას მიუხედავად იმისა, როდის ჩაება შეთქმულებაში. ბრალდება ამტკიცებს, ამბობს დევიდ ფაიფი, რომ ბრალდებულნი ამ პროცესზე წინასწარი განზრახვით შეუერთდნენ შეთქმულებას. მაგალითისათვის იგი ასახელებს ბრალდებულ შპეერს. „შპეერი, — ამბობს ბრალმდებელი, — დანაშაულებრივ ქმედობათა ასპარეზზე უფრო გვიან გამოჩნდა, ვიდრე სხვები. იგი გახდა შეიარაღების წარმოების მინისტრი, აგრეთვე მონაწილეობას იღებდა მონური მუშახელის გამოყენებისათვის ჩადენილ დანაშაულობებში. შპეერი შეუერთდა შეთქმულებას აგრესიული ომების წარმოების მიზნით და ამით მონაწილეობას იღებდა ამ ომების წარმოებაში. იგი წარადგენდა მოთხოვნებს მისთვის მუშახელის მიცემის შესახებ და ამით აქეზებდა სამხედრო დანაშაულობათა ჩადენას, აგრეთვე ხელს უწყობდა ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობისადმი მკაცრად მოპყრობას. იგი აგრეთვე აქეზებდა და ხელს უწყობდა ბრალდებულ ზაუკელის საქმიანობას და ამით სჩადიოდა დანაშაულობას ადამიანობის წინააღმდეგ".

მიკროფონთან მიდის ბრალდებულ კაიტელის დამცველი ადვოკატი ნელტე. იგი ცდილობს წარმოსთქვას სიტყვა იმ თემაზე, რომ კაიტელისადმი წაყენებული ბრალდება გაზვიადებულიაო. თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს მას და ამბობს, რომ თავისი მოსაზრებანი მას შეუძლია წარადგინოს დასაცავი სიტყვის წარმოთქმისას.

კვლავ სიტყვა აიღო დევიდ მაქსუელ-ფაიფმა. მან განაცხადა, რომ ბრალდება წინააღმდეგი არ არის გამოწვეულ იქნან ის მოწმენი, რომელთა შესახებ ნელტე შუამდგომლობდა, სახელდობრ ბლომბერგი, გალდერი, ვარლიმონტი, რეინეკე და ლამერსი. რაც შეეხება მოწმეებად სტენოგრაფებისა და სხვა პირების გამოწვევას, რომელთა შესახებ აგრეთვე შუამდგომლობდა ნელტე, ბრალდება დაკმაყოფილდება ფიცქვეშ მიცემული მათი წერილობითი ჩვენებით.

ამით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

25 თებერვლის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 25 თებერვალი. (საკდესი). ტრიბუნალის საღამოს სხდომის დასაწყისში კაიტელის დამცველი ნელტე განაგრძობდა თავისი შუამდგომლობის დასაბუთებას, რომ გამოწვეულ იქნან მოწმეები და საშუალება მიეცეს მას გაეცნოს ბრალდების მიერ გამოყენებულ მრავალ დოკუმენტს.

ამის შემდეგ ადამიანობის წინააღმდეგ ჰიტლერელთა დანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთების წარსადგენად სიტყვას იღებს ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი ამხ. სმირნოვი. „ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულობანი, ისევე როგორც ფაშისტების სხვა დანაშაულობანი, რომელთა დამამტკიცებელი საბუთები სასამართლოს წარმოუდგინეს ჩემმა კოლეგებმა, გამომდინარეობდნენ ფაშიზმის დანაშაულებრივი დედაარსიდან, მისი მისწრაფებიდან მსოფლიო ბატონობა მოეპოვებინა დასავლეთსა და აღმოსავლეთში მთელი სახელმწიფოების ავაზაკური დაპყრობის, ადამიანთა დამონებისა და მასობრივი გაჟლეტის გზით". ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ ფაშისტთა ყველა დანაშაულობა არსებითად წარმოადგენს დანაშაულს ადამიანობის წინააღმდეგ; იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჰიტლერელი დამნაშავენი წინასწარი განზრახვით და გულცივად აიძულებდნენ თავიანთ მსხვერპლთ „განეცადათ ადამიანის ღირსების დამამცირებელი მრავალი უმძიმესი ტანჯვა. სურდათ დაევიწყებინათ მათთვის სახელი, რისთვისაც კისერზე ჰკიდებდნენ ნომრიან ფირფიტას ან ტანსაცმლის სახელოზე აკერებდნენ პირობითს ნიშანს. მათ არ აძლევდნენ მშობლიურ ენაზე ლაპარაკისა და კითხვის უფლებას. მათ ართმევდნენ სახლ-კარსა და ოჯახს, ცდილობდნენ წაერთმიათ სამშობლო და ამისათვის ძალით გადაჰყავდათ მრავალ ასეულ და ათასეულ კილომეტრზე, მათ ართმევდნენ შვილის ყოლის უფლებას, მათ ყოველდღიურად აბუჩად იგდებდნენ და ამცირებდნენ. მასხარად იგდებდნენ და დასცინოდნენ მათს გრძნობებსა და რწმენას და, ბოლოს, მათ უსპობდნენ უკანასკნელს—სიცოცხლეს".

სიკვდილის შიში, განაგრძობს ბრალმდებელი, სულს უხუთავდა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას. დაპყრობილ ტერიტორიაზე გერმანელები უწინარეს ყოვლისა სიკვდილს ამეფებდნენ. ბრალმდებელმა სასამართლოს წარუდგინა ბრალდებულ როზენბერგის ბრძანება, რომელიც შეიცავს ხუთ პარაგრაფს. სამი მათგანი იწყება სიტყვებით: „სიკვდილით დასჯა". როზენბერგი ამ ბრძანებით კანონს გარეშე აყენებს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას.

ჰიტლერელები ასეთი კანონების გამოცემას რიგდი სჯერდებოდნენ. იუგოსლავიის მთავრობის ოფიციალურ მოხსენებაში, რომელსაც ბრალმდებელი იმოწმებს, ნათქვამია: „250 ათას იუგოსლავიელთან ერთად, რომლებიც ბრძოლებში დაეცნენ, ოკუპანტებმა მოსპეს კიდევ სულ ცოტა 1½-2 მილიონი კაცი, უმთავრესად ბავშვები, ქალები და მოხუცები. იუგოსლავიის 15 მილიონი მოსახლეობიდან ოკუპაციის 4 წლის განმავლობაში გერმანელებმა მოსპეს ამ მოსახლეობის თითქმის 14 პროცენტი".

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მოხსენებაში, რომელიც უკვე წარდგენილი აქვს ტრიბუნალს, მოყვანილია ჩეხიისა და მორავიის პროტექტორის ყოფილი მოადგილის კარლ ფრანკის ჩვენება, რომელშიც აღნიშნულია: გერმანელებმა დაგეგმეს ყველა ჩეხის იძულებით გადასახლება და ჩეხოსლოვაკიის დასახლება გერმანელი კოლონისტებით. ამ მიზნის მისაღწევად ჰიტლერელ დამნაშავეებს განზრახული ჰქონდათ გამოეყენებინათ ყოველგვარი საშუალება.

ეხება რა პოლონეთს, ბრალმდებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შიმშილი იყო სლავი მოსახლეობის მოსპობის გერმანული პოლიტიკის ძირითადი იარაღი. ჯერ კიდევ 1942 წლის 12 დეკემბერს ფრანკი, მის საკუთარ დღიურში ჩანაწერის თანახმად, სპეციალურ თათბირზე ამბობდა: „თუ განხორციელებულ იქნება ახალი სასურსათო გეგმა, ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო ვარშავასა და მის მიდამოებში სურსათს ვეღარ მიიღებს 500 ათასი კაცი". პოლონეთის ებრაელი მოსახლეობის შესახებ ფრანკი კიდევ უფრო ცინიკურად ლაპარაკობდა: „ის, რომ ჩვენ შიმშილით სიკვდილი მივუსაჯეთ 1.200 ათას ებრაელს, თავისთავად გასაგებია. იგულისხმება, რომ თუ ებრაელები შიმშილით არ დაიხოცნენ, ამას, როგორც შედეგს, გამოიწვევს ებრაელთა წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა აქტივიზაცია". ფრანკმა შიმშილით სიკვდილი განუმზადა მილიონობით პოლონელ მოსახლეობას.

თავის დღიურში 1942 წლის 14 დეკემბერს იგი სწერდა: ჰიტლერელთა წინაშე დგას ამოცანა „2 თებერვლიდან დაწყებული, სურსათით საერთო მომარაგება მოუსპონ ამ ოლქში მცხოვრებ არაგერმანული ეროვნების ორ მილიონ კაცს".

გერმანული დოკუმენტების დამოწმებით ბრალმდებელი ამტკიცებს, რომ ჰიტლერელმა დამნაშავეებმა დასახულ მიზნებს მიაღწიეს.

ჰიტლერელ დამპყრობთა ქცევა საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კიდევ უფრო ბარბაროსული იყო. ბრალმდებელი სასამართლოს უდგენს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ვინმე კაპიტან პფლაიდერერის მოხსენებას, რომელიც წითელი არმიის ნაწილებმა ხელთ იგდეს ფონ დირქსენის მამულში, ზემო სილეზიაში. თავისი სამინისტროს დავალებით პფლაიდერერს შემოუვლია გერმანელთა მიერ ოკუპირებული უკრაინის რაიონები. ამ მგზავრობის შედეგად მას შეუდგენია საიდუმლო მოხსენება, რომელსაც ეწოდება: „წინამძღვრები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მომარაგებას და რაც შეიძლება მეტი რაოდენობის სურსათის კონფისკაციას უკრაინაში". მოხსენების ავტორი ფიქრობს, რომ გერმანიის ჯარების ქცევა აუარესებს „რაც შეიძლება მეტი რაოდენობის სურსათის" მიღების პერსპექტივას. „ჩვენ, — სწერს იგი,—სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში ვხვრეტთ ილაჯგაწყვეტილ ტყვეებს, დახვრეტილთა გვამებს ვტოვებთ გზებში, ეს ფაქტები კი ვერ გაუგია მოსახლეობას".

ბრალმდებელი ტრიბუნალს უდგენს მეორე გერმანულ დოკუმენტს, პროფესორ ტომსონის მოხსენებას, რომელსაც უმგზავრია, როგორც იგი ამბობს, მინსკიდან ყირიმამდე. ტომსონიც აღიარებს, რომ გერმანელი ფაშისტი ოკუპანტების მიერ დროებით დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიებზე გერმანელები აწიოკებდნენ საბჭოთა მოსახლეობას.

ამ დოკუმენტების გამოქვეყნებით დამთავრდა საღამოს სხდომა.

26 თებერვლის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 26 თებერვალი. (საკდესი). ტრიბუნალის დილის სხდომა იხსნება ტრიბუნალის გადაწყვეტილების გამოქვეყნებით, რომ ჩვენების მისაცემად მოწმეებად გამოწვეულ იქნან ყოფილი გერმანიის არმიის გენერლები— გალდერი და ვარლიმონტი.

ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი ამხ. სმირნოვი დილის სხდომაზე განაგრძობს თავის სიტყვას და აღნიშნავს, რომ სასამართლოსათვის კარგად ცნობილი გერმანელ ფაშისტთა თეორია „გერმანიზაციის" შესახებ ითვალისწინებდა, რომ გაგერმანელებულ უნდა ყოფილიყვნენ არა ხალხები, არამედ ტერიტორიები. ამის დასამტკიცებლად ბრალმდებელს მოჰყავს იუგოსლავიის მთავრობის მოხსენების მოკლე ამონაწერები, რომლებშიც ლაპარაკია სლოვენიის რაიონების გერმანიზაციის გეგმის განხორციელების შესახებ. გერმანიის გეგმა, ამბობს ბრალმდებელი, ითვალისწინებდა სლოვენებისაგან სლოვენიის ცალკე რაიონების სრულ „გაწმენდას" და ამ ტერიტორიების გერმანელებით დასახლებას.

სლოვენიის დაპყრობის რამდენიმე დღის შემდეგ ფაშისტებმა შექმნეს გადასახლების ცენტრალური ორგანოები, და ჰიტლერელები შეუდგნენ ამ გეგმის პრაქტიკულად განხორციელებას.

ასეთივე დანაშაულობანი ჩაიდინეს ჰიტლერელმა დამნაშავეებმა ოკუპირებული პოლონეთის ტერიტორიაზეც. ამის შესახებ პოლონეთის მთავრობის მოხსენების განყოფილებაში „პოლონეთის გერმანიზაცია", რომელშიც მოყვანილია გერმანული დოკუმენტების ამონაწერები, აღნიშნულია, რომ ჰიტლერული პოლიტიკის მიზანი პოლონეთის ტერიტორიაზე ორგვარი იყო: პირველი, ამ სივრცის გარკვეული ნაწილი გაეწმინდათ ძირითადი მოსახლეობისაგან და დაესახლებინათ გერმანელებით და, მეორე — მოსახლეობისათვის თავს მოეხვიათ გერმანიის ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ „არ დაწყებულიყო ახალი ხანძარი გერმანიის წინააღმდეგ".

ამ დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ ტრიბუნალი ჩვენების მისაცემად იწვევს მოწმეს იაკობ გრიგოლის-ძე გრიგორიევს, — ფსკოვის ოლქის პორხოვის რაიონის შკვერტოვის სოფლსაბჭოს სოფელ პავლოვოს გლეხს. ფიცის მიღების შემდეგ მოწმე გრიგორიევი ლაპარაკობს მშვიდობიანი მოსახლეობის ამოწყვეტაზე სოფელ კუზნეცოვოში, სადაც იგი წინათ ცხოვრობდა, და პორხოვის რაიონის სხვა დასახლებულ პუნქტებში.

ბრალმდებელი: რამდენი წლისა იყო ყველაზე უფრო ხნიერი მცხოვრები, რომელიც გერმანელებმა მოკლეს?

მოწმე: 108 წლისა. ეს იყო უსტინია არტემიევა.

ბრალმდებელი: რამდენი წლისა იყო თქვენს სოფელში მოკლული ყველაზე უმცროსი მცხოვრები?

მოწმე: 4 თვისა.

მოწმის დაკითხვის შემდეგ ბრალმდებელი გადადის იმ დოკუმენტების გამოქვეყნებაზე, რომლებიც ეხებიან საბჭოთა ადამიანების სისტემატურ დევნას. ბრალმდებელი სასამართლოს უდგენს საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობას იმ „დანაშაულობათა შესახებ, რაც გერმანიის მთავრობამ და გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ ჩაიდინეს საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ ლამსდორფის ბანაკში", და ტრიბუნალის საქმეებს ურთავს გერმანული დოკუმენტების მთელ რიგ დედნებს, რომლებიც ადასტურებენ გერმანელ ფაშისტთა დამნაშავეობას საბჭოთა ადამიანების წამებაში.

შემდეგ ბრალმდებელი ტრიბუნალს უდგენს ეგრეთწოდებულ „სამახსოვრო წიგნაკს საბჭოთა სამხედრო ტყვეების შრომის გამოყენების შესახებ", რომელიც გამოცემულია გერმანიის შეიარაღებულ ძალთა მთავარი შტაბის მიერ. ამ სამახსოვრო წიგნაკში განსაკუთრებული ცინიზმით იძლევიან სხვადასხვა მითითებას საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ მხეცურად მოპყრობის შესახებ როგორც ბანაკებში, ისე საწარმოებში მუშაობის დროს.

ბრალმდებელი ტრიბუნალს მოახსენებს, რომ გერმანიის შეიარაღებულ ძალთა სამხედრო სარდლობამ საბჭოთა სამხედრო ტყვეები განსაკუთრებით მძიმე პირობებში ჩააყენა. გერმანელ ფაშისტთა ჯარების სარდლობა თავის ბრძანებებში მოითხოვდა, რომ ჯარის მეთაურები და ბანაკების კომენდანტები განსაკუთრებული ულმობელობით მოპყრობოდნენ სწორედ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს.

შემდეგი დოკუმენტი, რომელსაც საბჭოთა ბრალდება წარადგენს, არის გერმანიის ხელისუფალთა განკარგულება სამხედრო ტყვეების ბანაკებში მაროდიორობის მოწყობის შესახებ. 1941 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებულ განკარგულებაში მე-8 სამხედრო ოლქის სამართველო აღნიშნავდა: „იმ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რომლებიც მიღებულია შეიარაღებულ ძალთა მთავარ შტაბში მომხდარ თათბირზე, საბჭოთა სამხედრო ტყვეები მიწაში დაფლულ უნდა იქნან შიშველნი და უკუბოოდ. სამხედრო ტყვეების გახდას ეწევიან მცველნი".

ასეთივე დირექტივა ჰიტლერელთა მიერ მოკლული საბჭოთა სამხედრო ტყვეების დამარხვის თაობაზე დაგზავნა გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრომაც.

ბრალმდებელი აქვეყნებს კიდევ ერთ დოკუმენტს, რომელიც მოწმობს საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი ჰიტლერელთა დანაშაულებრივ მოპყრობას — ეს არის ამონაწერი საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობიდან ლამსდორფის ბანაკში გერმანელების დანაშაულობათა შესახებ: „სპეციალური კომისიის დასკვნით ლამსდორფის ბანაკის არსებობის განმავლობაში გერმანელებმა წამებით დახოცეს ასი ათასზე მეტი საბჭოთა სამხედრო ტყვე. მათი უმეტესი ნაწილი დაიღუპა შახტებსა და საწარმოებში ან ბანაკში დაბრუნებისას, ნაწილი გასრესილ იქნა მიწურებში, ბევრი დახოცილ იქნა გზაში ბანაკის ევაკუაციის დროს. 40 ათასი სამხედრო ტყვე წამებით მოკლულ იქნა თვით ლამსდორფის ბანაკში".

ამ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ საბჭოთა ბრალმდებელი ტრიბუნალს სთხოვს ნება დართოს დასაკითხავად გამოიწვიოს ყოფილი სამხედრო ტყვე, მოწმე ექიმი კივილში.

მოწმე მიკროფონთან მიდის. დაკითხვას აწარმოებს მთავარი ბრალმდებლის მოადგილე სსრ კავშირისაგან პოლკოვნიკი პოკროვსკი.

უპასუხებს რა მის კითხვებზე, მოწმე ამბობს, რომ საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის მომენტისათვის მას ეკავა უმცროსი ექიმის თანამდებობა 44-ე მსროლელი დივიზიის 305-ე პოლკში, რომელიც გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლებში ომის პირველი დღიდანვე მონაწილეობდა. იგი ტყვედ ჩავარდა 1941 წლის 9 აგვისტოს კიროვოგრადის ოლქის ქალაქ უმანის რაიონში. დატყვევების პირველსავე დღეს იგი მიიყვანეს ერთ-ერთ სატრანზიტო ბანაკში. ოთხ დღეს საბჭოთა სამხედრო ტყვეები გერმანელებს ფარდულში ჰყავდათ გაძლიერებული დაცვით. მთელი ამ ხნის განმავლობაში გზასა და სატრანზიტო ბანაკში მათ არც საჭმელი მიუღიათ და არც წყალი.

— ერთ-ერთ გადასასვლელზე, — განაგრძობს მოწმე, — ჩვენ შეგვხვდნენ ქალები და ბავშვები, რომლებიც ცდილობდნენ სამხედრო ტყვეებისათვის წყალი და პური მოეწოდებინათ. გერმანელები მათ ჩვენთან არ უშვებდნენ. ერთმა ქალმა სამხედრო ტყვეთა კოლონასთან მოგზავნა ხუთი წლის გოგონა, როგორც ჩანს, თავისი ქალიშვილი. გერმანელმა ჯარისკაცმა ბავშვი თოფით მოკლა.

მოწმეს სამხედრო ტყვეთა ბევრ ბანაკში მოუხდა ყოფნა. იგი ამბობს, რომ ყველა ამ ბანაკში გერმანელებმა ერთნაირი რეჟიმი შემოიღეს: საშიმშილო რაციონი, ავადმყოფებისა და დაჭრილებისათვის სამედიცინო დახმარების გაუწევლობა, აბუჩად აგდება, ცემა და ხოცვა.

ბრალმდებელი მოწმეს უჩვენებს ფოტოსურათს. მოწმე ამბობს, რომ ეს არის ფოტოგრაფია სამხედრო ტყვეების ბანაკისა უმანში.

ბრალმდებელი: რა წესები იყო ამ ბანაკში?

მოწმე: თითქმის ყველა ტყვე გარეთ იყო მოთავსებული. დღეში ორჯერ ბანაკის ტერიტორიაზე რამდენიმე ადგილას ანთებდნენ ცეცხლს და ხარშავდნენ მუხუდოს წყალწყალა სუპს. დამშეული ადამიანები ცდილობდნენ მცირეოდენი ეს კერძი მაინც მიეღოთ, რომელიც ამასთანავე უმარილო და უცხიმო იყო. გერმანელები სამხედრო ტყვეებს სუპის დარიგების დროსაც კი სცემდნენ.

არაფრით უკეთესი წესები არ იყო სამხედრო ტყვეთა სხვა ბანაკებშიც. მოწმე ლაპარაკობს რაკოვის ბანაკის შესახებ, სადაც იგი მუშაობდა ეგრეთწოდებულ ლაზარეთში, და ჩამოსთვლის გერმანელთა მიერ სამხედრო ტყვეების მხეცურად ცემის მრავალ ფაქტს, რაც ჩვეულებრივად დასახიჩრებით ან სიკვდილით მთავრდებოდა.

ბრალმდებელი: როგორი იყო სიკვდილიანობა რაკოვის ბანაკში?

მოწმე: იყო დღეები, როცა ბანაკში 700-დან 950-მდე სამხედრო ტყვე კვდებოდა.

ბრალმდებელი: რა დისციპლინარულ ზომებს იღებდნენ რაკოვის ბანაკში და რისთვის სჯიდნენ სამხედრო ტყვეებს?

მოწმე: გაქცევის ცდისათვის ან კვების პროდუქტების შოვნის ცდისათვის სამხედრო ტყვეებს კარცერში ამწყვდევდნენ. კარცერი წარმოადგენდა სარდაფს, რომელსაც ცემენტის იატაკი და უმინო და უჩარჩოო ფანჯრები ჰქონდა. სამხედრო ტყვეებს აშიშვლებდნენ და ისე ათავსებდნენ ამ კარცერში ჩვეულებრივად ორი კვირით. ამასთან მათ საჭმელსა და წყალს ართმევდნენ. მე არც ერთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ რომელიმე სამხედრო ტყვეს ეს პატიმრობა გადაეტანოს. ჩვეულებრივად ადამიანები იხოცებოდნენ.

მოწმე უპასუხებს ბრალმდებლის შემდგომ კითხვებზე და ამბობს, რომ რაკოვის ბანაკის სამხედრო ტყვეთა ძირითად მასას თავლებში ამყოფებდნენ როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში. სამხედრო ტყვეებს ზამთარსა და ზაფხულში ასრულებინებდნენ სრულიად უაზრო სამუშაოს — ანგრევინებდნენ შენობებს და აგურით აგებინებდნენ ბანაკის ტერიტორიას. როდესაც ქანცგამოლეულ ადამიანებს ამ „სამუშაოზე" გამოსვლა აღარ შეეძლოთ, მათ თავლაში ჩაჰკეტავდნენ და ხუთ დღე-ღამეს ამყოფებდნენ. ამას ეწოდებოდა „კარანტინი". როდესაც ეს „კარანტინი" თავდებოდა, თავლას აღებდნენ, მაგრამ ყველა იქ მყოფი სამხედრო ტყვე უკვე მკვდარი იყო ხოლმე.

როდესაც ბრალმდებელმა პოკროვსკიმ მოწმის დაკითხვა დაამთავრა, მის დაკითხვას შეუდგა დამცველი ლატერნზერი. კითხვების მიცემით ეს ადვოკატი ცდილობდა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს შიმშილობა სამხედრო ტყვეთა იმ ბანაკებში, რომლებზეც მოწმე ლაპარაკობდა, გამოწვეული ყოფილიყო სურსათის მიწოდების სიძნელეებით. მოწმემ გამოააშკარავა ეს ცდა და დაამტკიცა, რომ გერმანელები განზრახ ამყარებდნენ საშიმშილო რეჟიმს სამხედრო ტყვეებისათვის და არა თუ არ ზრუნავდნენ სურსათით მათი მომარაგებისათვის, არამედ მკაცრად უსწორდებოდნენ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ცდილობდნენ რაიმე დახმარება აღმოეჩინათ მშიერი და განაწამები ტყვეებისათვის.

ამით დამთავრდა ტრიბუნალის დილის სხდომა.

პაასიკივი არჩეულია ფინეთის პრეზიდენტად

ჰელსინკი, 9 მარტი. (საკდესი). დღეს შესდგა ფინეთის სეიმის სხდომა, რომელზეც მოხდა ახალი პრეზიდენტის არჩევნები. ხმის მიცემის შედეგად პაასიკივის კანდიდატურამ მიიღო 159 ხმა, ხოლო ფინეთის ყოფილი პრეზიდენტის ტოლბერგის კანდიდატურამ—14 ხმა. გარდა ამისა, მიცემულია 11 ცარიელი ბიულეტენი. 15 დეპუტატი სხდომას არ დასწრებია. ხმის მიცემის შედეგის გამოქვეყნების შემდეგ სეიმის თავმჯდომარემ ფაგერჰოლმმა გამოაცხადა, რომ კანონის შესაბამისად ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულია პაასიკივი.

ტრიესტს ჩავიდა მოკავშირეთა კომისია

ბელგრადი, 8 მარტი. (საკდესი). როგორც ტანიუგის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება გუშინ ტრიესტს ჩავიდა მოკავშირეთა კომისია.

გაზეთი „მონდი" უდინეს რაიონში ანდერსის ჯარების კონცენტრაციის შესახებ

პარიზი, 7 მარტი. (საკდესი). გაზეთ „მონდის" სპეციალური კორესპონდენტი რაიმონ მილე, რომელიც ტრიესტში იმყოფება, იუწყება, რომ ამ უკანასკნელ ხანს ხდება უდინეს გარშემო განლაგებული ჯარების გაძლიერება. კორესპონდენტის სიტყვით, სამხედრო საიდუმლოება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დაზუსტდეს ამ გაძლიერების ხასიათი. მაგრამ მილე იუწყება, რომ უდინეს რაიონში არიან პოლონელები ანდერსის არმიიდან, რომლებიც აქ სამხრეთიდან ჩავიდნენ.

გაზეთ „ვუა დე პარის" კორესპონდენტი ლილის რაიონში არსებული პოლონელთა ბანაკის შესახებ

პარიზი, 8 მარტი. (საკდესი). გაზეთ „ვუა დე პარის" სპეციალურმა კორესპონდენტმა დომინიკ დესანტიმ ინახულა ლილის რაიონში არსებული ბანაკები იმ პოლონელ ჯარისკაცთათვის, რომლებსაც ძალით აკავებენ ანდერსის არმიაში. დესანტის სიტყვით, ამ ბანაკებში ჰყავთ ხუთი ათასი პოლონელი, რომელთა უმეტესობა უშედეგოდ ცდილობს მიიღოს სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა. კერძოდ, კორესპონდენტი იუწყება, რომ ლილიდან 6 კილომეტრზე მდებარე ბანაკში 50 პოლონელმა, რომელთაც სურთ სამშობლოში დაბრუნდნენ, მათი დაკავების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად შიმშილობის გაფიცვა გამოაცხადეს. ლილის რაიონში მყოფი ხუთი ათასი პოლონელი ჯარისკაცი შედის ინგლისის ჯარების შემადგენლობაში, რომლებიც დღემდე აქ არიან განლაგებულნი. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ანდერსის ოფიცრები ჯარისკაცებთან საუბრის დროს ეუბნებიან მათ, რომ „საჭიროა მესამე მსოფლიო ომი, რათა ჩამოაშორონ სსრ კავშირი მის მოკავშირეებს და დაამხონ პოლონეთის მთავრობა". ანდერსის ოფიცრები აშინებენ სამშობლოში დაბრუნების მსურველ ჯარისკაცებს და ცდილობენ გაგზავნონ ისინი ან ამერიკაში, ან საფრანგეთის კოლონიებში.

საბერძნეთის პროფკავშირების კონგრესი

ათენი, 8 მარტი. (საკდესი). გუშინ დამთავრდა საბერძნეთის პროფკავშირთა მე-8 კონგრესი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1.800-მდე დელეგატმა. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებმა: ვეშნიკოვმა (სსრკ), ბაგნელმა (ინგლისი), ლუნემ (საფრანგეთი) და საბერძნეთის შრომის მინისტრმა ზაკასმა.

კამათში გამოსულმა დელეგატებმა მკვეთრად გააკრიტიკეს მონარქისტულ-პროფკავშირული დაჯგუფების ხელმძღვანელ მარკისის პოზიცია, რომელიც ცდილობდა გათიშვა შეეტანა პროფკავშირულ მოძრაობაში და შეეკრიბა თავისი „განსაკუთრებული კონგრესი", რომელზეც არავინ არ წასულა. მრავალმა დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბერძნეთში არის პროფკავშირული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ტერორი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლებმა აგრეთვე მიაქციეს შრომის მინისტრის ყურადღება ტერორს მუშების წინააღმდეგ, და, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ ქალაქ ნაუსაში პროფკავშირების წევრებს აუკრძალეს პროფკავშირთა კონგრესის დელეგატების არჩევა.

ამხ. ვეშნიკოვი, რომელსაც კონგრესი გულთბილად შეხვდა, შეკრებილთ მიესალმა საბჭოთა კავშირის მშრომელთა სახელით.

კონგრესმა მიიღო საბერძნეთის პროფკავშირების ფედერაციის წესდება, აგრეთვე რეზოლუცია მუშათა კლასის მდგომარეობისა და პროფკავშირთა ამოცანების, საბერძნეთის ეკონომიურ აღდგენაში პროფკავშირების მონაწილეობის, შრომის კანონმდებლობისა და სოციალური დაზღვევის და მუშათა კლასის ერთიანობის შესახებ.

კონგრესმა აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შედის შვიდი კაცი: პაპარიგასი, თეოსი, დიმიტრიუ, არაბაჯისი, მასტროიანაკისი, სტრატისი და კალამირისი. ოთხი მათგანი შედიოდა მემარცხენე პროფკავშირულ გაერთიანება ერგასში.

ცუდეროსის განცხადება გადადგომის შესახებ

ლონდონი, 8 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა სოფულისმა 6 მარტს გამოაცხადა, რომ მან უარი სთქვა მიეღო პრემიერ-მინისტრ და ეკონომიური კოორდინაციის მინისტრ ემანუილ ცუდეროსის განცხადება გადადგომის შესახებ.

ცუდეროსი გადადგომის შესახებს განცხადებაში სწერს, რომ იგი წინააღმდეგია პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებისა, რომ არჩევნები მოეწყოს 31 მარტს. მან აღნიშნა, რომ არჩევნები, რომლებსაც ბოიკოტს უცხადებენ ძველი მემარცხენე პარტიები, გამოიწვევს ისეთი პარლამენტის შექმნას, „რომელიც მთლიანად მემარჯვენე პარტიათა ხელში აღმოჩნდებოდა და იქნებოდა პარლამენტარიზმის დღემოკლე ცდა". ცუდეროსმა განაცხადა, რომ მას საჭიროდ მიაჩნია შეიქმნას ასამბლეა, რომელშიც შევლენ ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, და რომ პარტიული მოსაზრებებისათვის დაქვემდებარებული ცალმხრივი მთავრობის არსებობა კატასტროფული იქნებოდა საბერძნეთის ეკონომიური რეკონსტრუქციის წარმატებით ჩატარებისათვის.

ს ე მ ი ნ ა რ ე ბ ი

11 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„მეოთხე სტალინური ხუთწლედის ძირითადი ამოცანები".**

სემინარს ჩაატარებს ამხ. **ნოღაიანისი.**

11 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„მეოთხე სტალინური ხუთწლედის ძირითადი ამოცანები".**

სემინარს ქართულ ენაზე ჩაატარებს დოცენტი **თავხელიძე,** რუსულ ენაზე—პროფესორი **აზატიანი.**

11 მარტს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„მეოთხე სტალინური ხუთწლედის ძირითადი ამოცანები".**

სემინარს ქართულ ენაზე ჩაატარებს დოცენტი **ლარცულიანი,** რუსულ ენაზე — ამხ. **პრიმო.**

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

11 მარტს, საღამოს 7 საათზე, საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„საქართველო ბრინჯაოსა და ადრეული რკინის საუკუნეში".**

სემინარს ჩაატარებს ამხ. **მესხია.**

12 მარტს, დილის 10 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებისა და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორებისათვის შესდგება აკადემიკოს **ბერძენიშვილის** შესავალი ლექცია სემინარის მეცადინეობისათვის თემაზე: **„მონღოლთა შემოსევა საქართველოში".**

12 მარტს, დილის 10 საათზე, სახელოსნო სასწავლებლების მუშაკებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„პარტიის ბრძოლა ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის".**

სემინარს ჩაატარებს ამხ. **ტატიშვილი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თეატრებში

10 მარტს: **სახელმწიფო ოპერა** — „მთების გული". **რუსთაველის სახელობის**—„უდანაშაულო დამნაშავენი". **მარჯანიშვილის სახელობის**—„უმზითვო". **მუსიკალური კომედიის**—„ცუგრუმელა". **სანკულტურის**—„ნალექი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ნაცარქექია".

კინოებში

10 მარტს: **რუსთაველის სახელობის**—„უმზითვო". **ოქტომბერი**—„არსენა". **დამკვრელი**—„სილვა". **კომკავშირელი**—„მდიდარი საცოლე". **სპარტაკი**—„ნათელი გზა". **ლუქსემბურგის სახელობის** — „არშინ-მალ-ალან". **26 კომისრის სახელობის**—„ერთ ღამეს".

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 21 მარტს, დღის 2½ საათზე, სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს **თამარ იოსების-ასული ჩხატარაშვილი** — თემაზე: **„ნერწყვის ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური თვისება კბილის კარიესთან დაკავშირებით".**

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მედიცინის მეცნიერების დოქტორი პროფესორი **ალ. ედიბერიძე** და მედიცინის მეცნიერების დოქტორი **ივლ. ფაილოძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ., № 16), დილის 9-დან საღამოს 10 საათამდე.

დირექცია.

მოქალაქე **ბორის ნიკოლოზის-ძე ფეოდოროვმა,** მცხოვრებმა ბაქრაძის ქ. № 11, აღძრა საქმე ქ. ბაქოში, წითელ ქ. № 11 მცხოვრებ მოქალაქე **ვერა ალექსანდრეს-ასულ ფეოდოროვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გიორგი ივანეს-ძე ჯალალოვმა,** მცხოვრებმა ფოსტის შესახვევი № 6, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ დავითის-ასულ თამაზოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

ოჯახი და ოფიცრების ჯგუფი იუწყებიან, რომ 10/III, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე შესდგება **შოთა ნიკოლოზის-ძე გოგორიშვილის** პანაშვიდი.

არტელ „თამბაქოს" თანამშრომლები იუწყებიან შოთა მაჭავარიანის შვილის **ფაზიკოს** გარდაცვალებას.

ოჯახი იუწყება **ვასილ სტეფანეს-ძე იობაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/III აბაშაში.

ლენა და თამარ ჩიტიშვილები ოჯახებით იუწყებიან **მინა ჩიტიშვილი-უნაფკოშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11/III, 6 ს. 30 წ. გამოსვენება 12/III, 5 ს. ჯორჯაძის ჩიხი, 5.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნისა—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00032